# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 1 აგვისტო, 2008 წელი.

№ 141 (5999)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## საგადასახადო ტვირთმა ქვეყანა წელში გაწყვიტა



ასეა ჩვენში დამკვიდრებული: კანონმდებლები იმას კი არ უყურებენ, როგორი საგადასახადო კოდექსი სჭირდება ქვეყნის ეკონომიკას და მეწარმეთა ინტერესების დაცვას, არამედ იმას, როგორ მოერგება კანონები ხელისუფლებაში მოკალათებულ ბობოლა ჩინოვნიკთა მადას

6

შალვა ნათელაშვილი:

## ეს „კუდისა“ და სააკაშვილის შეთხზული იდიოტიზმია



2

არჩილ გეგეშიძე:



## ...ბერლინის შეხვედრა უშედეგოდ დასრულდება

3

სოსო ცინცაძე:

## საქართველოს კვიპროსიზაცია დასავლეთს ძალიან აძლევს ხელს



3

## ნახევრადღია წერილი მიხეილ სააკაშვილს

9

## შენ დროს გაუსწარი



დიდი მაესტრო — რობერტ სტურუა იუბილარია

8

## ნარკოტიკები ელიტისთვის

ნარკოტიკების რეალიზატორებსა და გამსაღებლებს ხელისუფლებაში სერიოზული მფარველები ჰყავთ!

7

ასე როგორ გაუცივდათ გული ცაგერის გამგებელს, იქაურ ინტელიგენციას, ბარდნალის მცხოვრებთ, რომ ამ მდგომარეობამდე მიიყვანეს ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი და დროზე არ მიიღეს ზომები?

9



## გვრცხვენოდეს, ლეჩხუმელებო!

**ვითარება**

**ლეიბორისტული პარტიის ირგვლივ მორიგი ბრალდება აგორდა. ხელისუფლება მას ფულის გათეთრებაში ადანაშაულებს. მისი ერთ-ერთი პარტიული აქტივისტი არჩილ ბენიძე უკვე დაკავებულია და ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. პარტიის ლიდერი არჩილ ბენიძეს პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნევს და სოლიდარობას უცხადებს: „ეს ადამიანი უკვე მეხუთე დღეა „კუდის“ ჯურღმულში იმყოფება მხოლოდ იმის გამო, რომ სააკაშვილის რეჟიმს ებრძვის და ლეიბორისტული პარტიის წევრია“.**

**პარტიაში კატეგორიულად უარყოფენ „შავი ფულის“ არსებობას და ვინმესგან თანხის აღებას. შალვა ნათელაშვილის აზრით, ეს ბრალდება გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფოს სტრასბურგის განაჩენის შედეგად დაკისრებული თანხის გადახდა არ სურს.**

# შალვა ნათელაშვილი: „ეს „კუდისა“ და სააკაშვილის შეთხზული იდიოტიზმია“

**რატომ უნდათ ლეიბორისტების მოსპობა-განადგურება?**

— სტრასბურგის სასამართლოში ლეიბორისტულმა პარტიამ პირწმინდად მოუგო სარჩელი სააკაშვილს. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა და ვარდების რევოლუცია შეფასებულია ძალადობრივ და უკანონო აქციად. ლეიბორისტული პარტია კი გამოცხადებულია რეჟიმის მსხვერპლად.

ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილებაა ევროპულ სივრცეში და საერთაშორისო სამართალში. ყველა საერთაშორისო საიტზე და გაზეთში ეს მონაცემები არსებობს. მხოლოდ სააკაშვილის ცენზურა ასაიდუმლოებს ამ მართლაც ისტორიულ მოვლენას, რადგან იცის, რომ მისი არსებობის სამართლებრივ-პოლიტიკური საფუძველი მოსპობილია. ამიტომაც გადავიდა ის ჩვენს დაჭერაზე. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფომ ჩვენ 10 043 ევრო უნდა გადაგვიხადოს. სწორედ ამიტომ დაგვაბრალეს ფულის გათეთრება, რომ ამ თანხის გადახდა არ სურთ. თუმცა მაგ წრუწუნებს ვერანაირი წუწუნი



ვერ გადაარჩენთ, რადგან ეს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაა და არა ჩვენი პოლიტიკური პიარი.

**— ხელისუფლება ბრალს გდებთ, რომ ლეიბორისტებმა უცხოეთიდან დიდძალი თანხა მიიღეთ...**

— არავითარი თანხა არც საბანკო გადარიცხვების და არც პირადი შემოტანის გზით ლეიბორისტული პარტიას უცხოეთიდან არ მიუღია. ამის დაზუსტება ძალიან იოლია, რადგან ჩვენ მუდმივად გვითვალთვალებენ და გვაკონტროლებენ. ამას არც ხელისუფლება მალავს.

როგორ შემიძლია ვაკონტროლო ჩემი პარტიული აქტივისტები. ზოგი ბიზნესშია, ზოგის ნათესავი საზღვარგარეთაა... შეუძლებელია, ყოველ წუთს ვამოწმო მათი დეკლარაციები და ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში მოვითხოვო.

**— აქ მხოლოდ გადმორიცხვა არ იგულისხმება. არჩილ ბენიძის ადვოკატების განცხადებით, მან ეს ფული აიღო და პარტიის ბიუჯეტში შეიტანა...**

— სწორედ ამით დასტურდება, რომ ეს ადვოკატები „კუდის“ აგენტები არიან. ეს „კუდისა“ და სააკაშვილის შეთხზული იდიოტიზმია, რომლებსაც გარკვეული პროფილის სპეციალისტები სჭირდებათ. პირველად მესმის, რომ თურმე „კუდის“ პატიმარს არ შეუძლია ადვოკატის დაქირავება, გარდა მათ მიერ რეკომენდებული ე. წ. დამცველისა. ოქრუაშვილსაც ასე ათქმევინეს თავის დროზე უარი ეკა ბესელიას დაცვაზე და „კუდის“ თანამშრომელი დაუნიშნეს დამცველად. არჩილ ბენიძის გამო ამ ხელისუფლებას შავი დღე დაადგება.

**— თუმცა არჩილ ბენიძის ოჯახის წევრები ამ ადვოკატებს ენდობიან.**

— ეს უწესიერესი ოჯახია, რომლის დაშანტაჟება „კუდს“ და „კუდის“ ადვოკატებს არ გაუჭირდებათ. ეს იმ ფაქტმაც დაადასტურა, რომ თუ ჩაბარდებოდა, მხოლოდ ჩვენებას ჩამოართმევდნენ და გაუშვებდნენ მშობლიურ კერაში. თუმცა 2 თვით ჩააყუდეს ციხეში. ამაში პასუხს, უპირველესად ეს ნაქირალა ადვოკატები აგებენ და მერე ყველა, ვინც ხელი შეუწყო ამას.

არ ვიცი, რას თითხნიან, მაგრამ ერთადერთი რამ ვიცი: ისინი ხელისუფლებიდან წასასვლელად ემზადებიან და ფიქრობენ, რომ მათ ჩვენ შევცვლით. ამიტომ უნდათ, მოგვსპონ ან ფიზიკურად ან მორალურად, ან პოლიტიკურად...

ესაუბრა
**სოფიო გოგლიძე**



## ხელისუფლება ხალხს აუცილებლად ააჯანყებს

**ლეიბორისტული პარტიის აქტივისტები თბილისის სააპელაციო სასამართლოსთან შეიკრიბნენ და თანაპარტიელი არჩილ ბენიძის განთავისუფლება მოითხოვეს.**

**როგორც საპროტესტო აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, არჩილ ბენიძე უკანონოდ არის დაპატიმრებული და წამოყენებული ბრალდება ფულის გათეთრების საქმეში მონაწილეობასთან დაკავშირებით აბსურდულია.**

**როგორც იოსებ შატბერაშვილმა განაცხადა, უმჯობესია, საქართველოს ხელისუფლება ებრძოლოს გარეშე მტრებს და თავი დაანებოს საკუთარ ხალხს.**

**— ლეიბორისტებს სოლიდარობას უცხადებს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია. მათი წარმომადგენლების თქმით, საქართველოში არაჯანსაღი გარემოა და ხელისუფლება განსხვავებული პოლიტიკური აზრის მქონე ხალხს ჩაგრავს.**

**ლეიბორისტული პარტის პოლიტიკური მდივნის გიორგი გუგავას განცხადებით, ხელისუფლების ქმედებები ქვეყანას იმ დონემდე მიიყვანს, რომ ხალხი აჯანყდება და თავისი კანონიერი უფლებების დაცვას ქუჩიდან მოითხოვს.**

## საპარლამენტო მანდატი იმუნიტეტისთვის სჭირდებათ

**ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი იოსებ შატბერაშვილი პარლამენტში შესვლას არ აპირებს, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, საპარლამენტო იმუნიტეტს ყველგან გამოიყენებს.**

**როგორც იოსებ შატბერაშვილმა დაცვის სამსახურის წარმომადგენელს განუმარტა, ის პარლამენტის წევრია და იმუნიტეტი იცავს, რის გამოც დაცვას არ ჰქონდა უფლება, შატბერაშვილისთვის მიმდებარე ტერტორიის დატოვება მოეთხოვა.**

**— პარლამენტში შესვლას არ ვაპირებ, მაგრამ საპარლამენტო მანდატი გვჭირდება, რათა არ დაგვიჭირონ. ამ ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა მეთოდი უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ ახლა გვიცავს საპარლამენტო მადატი, — განაცხადა იოსებ შატბერაშვილმა.**

**ინტერპრესნიუსი**

**პრესკონფერენცია**

## სად პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტი და სად — კონტროლის პალატა?

**ლებორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ნესტან კირთაძის განცხადებით, ხელისუფლება ქუთაისში მდებარე იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტის გაუქმებით „შრომის პარტიის“ დისკრიმინაციას ცდილობს.**

**როგორც კირთაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, უნივერსიტეტი 1991 წელს საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას თანადგომით მიხეილ რეხვიაშვილმა დააფუძნა.**

**— ხელისუფლებას სურს, ჩემი მამამთლის, მიხეილ რეხვიაშვილის დაარსებული უნივერსიტეტი და იმავე შენობაში მდებარე მეცნიერებათა აკადემიის რეგიონული ფილიალი გააუქმოს. ამით იმის თქმა უნდათ, რომ კირთაძე და „ლეიბორისტები“ უნივერსიტეტს ვერ უვლიან და საქართველოს მოუვლიანო? ბოლომდე ვიბრძოლებ, რათა ეს უმაღლესი და მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო-სამეცნიერო კერა არ გაუქმდეს. მსოფლიო საზოგადოებას გავაგებინებ ამ ვანდალიზმის შესახებ, — განაცხადა ნესტან კირთაძემ.**

**ინტერპრესნიუსი**

**შეფასება**

# ჩურკინს დრო გაჰყავს

**საქართველოს საგარეო უწყება ვიტალი ჩურკინის განცხადებას დროის გაყვანის მორიგ მცდელობად აფასებს.**

გაეროში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის ვიტალი ჩურკინის განცხადება ძალის გამოუყენებლობის შეთანხმების დაუყოვნებელი ხელმოწერასა და ზემო აფხაზეთიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფების გაყვანასთან დაკავშირებით, რუსეთის ქმედებებისადმი მზარდი საერთაშორისო კრიტიკის ფონზე, სახის შენარჩუნებისა და დროის გაყვანის მორიგი მცდელობაა, — ნათქვამი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ამასთან, ჩრდილოეთ კავკასიაში ძალადობის გახშირების ფაქტები, ქართული საგარეო უწყების განცხადების თანახმად, უკიდურეს შეშფოთებას იწვევს.

ინგუშეთში, დაღესტანსა და ჩეჩნეთში შეიარღებული შეტაკებების შედეგად მოკლულია სულ მცირე 4 და დაჭრილია 4 რუსი ძალოვანი. ინგუშეთის დედაქალაქ ნაზრანში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ შენობასთან მომხდარი აფეთქების შედეგად მოკლულია ორი და დაჭრილია ორი რუსი მილიციელი, აფეთქებამ 15 ავტომანქანა გაანადგურა. გროზნოში ჩეჩენ მეამბოხეებთან შეტაკების შედეგად კი, მოკლულია რუსეთის მილიციის თანამშრომელი, კიდევ ორი რუსი სამხედრო დაჭრილია. დაღესტანში ადგილობრივ მეამბოხეებთან შეტაკებაში მუკლულია რუსეთის ძალოვანი მაღალჩინოსანი.

საქართველოს საგერო საქმეთა სამინისტრო თვალს ადევნებს მოვლენათა განვითარებას და იმედოვნებს, რომ ესკალაციის შეჩერება მოხერხდება, — აცხადებენ საქართველოს საგარეო უწყებაში.

**ინტერპრესნიუსი**

**კონფლიქტის ზონა**

# მუნჯის ენა დედამ იცის

**პატარა მწყემსი ბიჭი ემზარ ყავლაშვილი კი ცდილობდა შეენარჩუნებინა სიმშვიდე, მაგრამ როცა სროლაში მოჰყვები, კაი ბიჭი ხარ და, ნუ შეგეშინდება!**

**— სოფლის ნახირი საძოვარზე გავიყვანეთ და ამ დროს სროლაც დაგვიწყეს. გამოვიქეცით და ჩირგვებში ჩავიმალეთ.**

**სროლები ერედვის მიმართულებით არ წყდებოდა.**

მუნჯის ენა დედამ იცის. ქართული ბატალიონის სარდალმა მამუკა ყურაშვილმა ცხინვალელებს ორწუთიანი ვადა მისცა — თქვენი ბანდიტები თქვენვე გააჩერეთ, თორემ ხმა როგორ უნდა გავაკმედინო, კარგად ვიციო. ორი წუთიც გავიდა და ხუთიც.საშველი რომ არ დაადგა ცხინვალელი მოთარეშეების თავხედობას, ქართველმა მშვიდობისმყოფელებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს და ხმაც ჩააკმენდინეს.

საინტერესო ის იყო, რომ დამკვირვებელთა ჯგუფი, რომელიც ადგილზე ვითარების შესასწავლად მოვიდა, სეპარატისტებს ქართველი სამხედროები თუ ეგონათ და ახლა იმათ გაუხსნეს ცეცხლი. რის წვალებით მოახერხა ყურაშვილის ხალხმა უცხოელების სამშვიდობოზე გამოყვანა.

დაკვირვებული ვარ: ცხინვალის მთავრობა, როგორც კი ჩრდილში მოექცევა და მისი არსებობა ავიწყდებათ (მათ შორის საკუთარ მოსახლეობასაც — ბორგავს და კაპასობს, აღარ იცის, რით მიიქციოს ყურადღება. ახლაც მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებისკენაა მიმართული. ვინ აღარ ჩადის სოხუმში, იქიდან კი მოსკოვში, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ეს მთავარი კონფლიქტი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს.

ცხინვალის მთავრობა კი ნერვიულობს: ჩვენ რა, განა რესპუბლიკა არ ვართ, განა ჩვენ არ გვყავს მთავრობა? პუტინი განა ჩვენი პრემიერ-მინისტრი არ არის?! ჩვენი დანახვა არ გსურთ? დაგენახვებით. არ გსურთ ჩვენი ხმა გაიგონოთ? მოგასმენინებთ! და ისმის სროლები დიდ და პატარა ლიახვში, ისვრიან ერედვის, წვერის, სხვა ქართული სოფლების მიმართულებით.



დიდად სწადია, სეპარატისტებს, გაბატონდნენ ხარაბულის სიმაღლეზე. ეს თავისთავად პატარა ლიახვის ხეობის შესასვლელ-გამოსასვლელის გაკონტროლების საშუალებასაც მისცემდა მათ. მაგრამ ეს ოცნების სფეროა, რადგან მუნჯის ენა დედამ იცის.

**გურამ პავლიაშვილი**

კითხული კაცის აზრი



*გერმანიის ინიციატივით ბერლინში დაგეგმილ ქართულ-აფხაზური შეხვედრის სავარაუდო შედეგებზე, ევროკავშირის მინისტერიალის მიერ აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის მხარედ აღიარებისა და გაეროს გენმდივნის შუალედურ მოხსენებაში რუსეთის დესტრუქციული როლის დაფიქსირების საკითხებზე, რუსული საექსპერტო წრეების მიერ აფხაზეთის გაყოფის იდეის აქტიურ ლობირებაზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ არჩილ გეგეშიძეს ესაუბრა.*

# არჩილ გეგეშიძე: თუ სოხუმი ქართულ-აფხაზური დიალოგის აღდგენის პირობად თავის ცნობილ მოთხოვნებს დააყენებს, ბერლინის შეხვედრა უშედეგოდ დასრულდება

**— ბატონო არჩილ, ჯერ დაზუსტებული არ არის, როდის შედგება ბერლინის შეხვედრა და ვინ მიიღებს მასში მონაწილეობას, მაგრამ მაინც რას შეიძლება ელოდოს ქართული მხარე ამ შეხვედრისგან?**

— ცოტა რთულია პროგნოზირება. მაქსიმალური შედეგი იქნება ქართულ-აფხაზური დიალოგის აღდგენა, მინიმალური — თუ მხარეები შეთანხმდებიან მორიგ ამდაგვარ შეხვედრაზე. ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, ვინ მიიღებს მონაწილეობას ბერლინის შეხვედრაში, ანუ რა დონეზე გაიმართება შეხვედრა, რამდენად უფლებამოსილები და მოქნილები იქნებიან შეხვედრის მონაწილეები.

თუ ბერლინის შეხვედრაზე სოხუმი ქართულ-აფხაზური დიალოგის აღდგენის პირობად თავის ცნობილ მოთხოვნებს, კოდორის ხეობიდან ქართველი პოლიციელების გაყვანის ან ცეცხლის განუახლებლობის საკითხს დააყენებს, შეხვედრა უშედეგოდ დასრულდება. ამ შეხვედრის ინიციატორების იმედი სწორედ დიალოგის აღდგენაა.

**— რამდენად სავარაუდოა სააკაშვილი-ბაღაფშის სწორედ ბერლინში შეხვედრა?**

— სააკაშვილი-ბაღაფშის ბერლინში შეხვედრას არ გამოვრიცხავ. თუ მოლაპარაკებები ამ დონეზე შედგა, მეტი ალბათობა იქნება, რომ იმდაგვარი გადაწყვეტილებები იყოს მიღებული, რომლებიც გზას გაუხსნის ქართულ-აფხაზურ დიალოგს.

თუ შეხვედრა ქვედა დონეზე შედგა, მხარეები აქამდე ცნობილ პოზიციებს კიდევ ერთხელ გამოხატავენ, ეს კი სასურველ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს. უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმასაც, თუ რა ინსტრუქციებით ჩავა ბერლინში აფხაზური მხარე.

**— ბატონო არჩილ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ე.წ. გერმანულ გეგმას ჯერ საბოლოო სახე არ მიუღია და პრინციპულ საკითხებზე მხარეთა აზრის სხვადასხვაობის გამო, ბევრი რამ დასაზუსტებელია...**

— დიახ, როგორც ეტყობა სწორედ ასეა, მაგრამ დიალოგის აღდგენის შემთხვევაში ე.წ. გერმანული გეგმა დღის წესრიგის განხილვის საგანი იქნება. რა თქმა უნდა, გეგმას სჭირდება დამუშავება, დახვეწა. გეგმა იმდაგვარი სახით, როგორითაც იყო წარმოდგენილი, არც ერთი მხარისთვის არ იყო მისაღები.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ე.წ. გერმანულ გეგმაში საერთოდ არ იყო გათვალისწინებული რუსული მხარის ინტერესები, რაც გეგმის დეფექტურობას უსვამს ხაზს, მასზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს.

**— გავრცელდა ვარაუდი, რომ ქართული მხარე საერთაშორისო პოლიციელთა შეყვანას, კოდორის ხეობის პარალელურად, გალისა და ოჩამჩირის რაიონებშიც ითხოვს, რაზეც სოხუმი არ თანხმდება. თქვენი ინფორმაციით, რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს და, საერთოდ, რამდენად შესაძლებელია ქართული მხარის მოთხოვნების რეალიზება?**

— ამის განჭვრეტა ძალიან რთულია. ამ საკითხის ცალკე განხილვა, როგორც ჩანს, არ იქნება სწორი. საუბარი შეიძლება იყოს წინადადებათა პაკეტზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომელიც რუსეთსაც აძლევდეს ხელს და აფხაზეთსაც.

კოდორის ხეობაში საპოლიციო ძალების შეყვანა, თითქოს უნდა ხსნიდეს აფხაზური მხარის შიშს, რომ ქართულმა მხარემ კოდორის ხეობა, შეიძლება, პლაცდარმად გამოიყენოს, მაგრამ საკმარისი იქნება ეს იმისათვის, რომ აფხაზური მხარე დათანხმდეს გალისა და ოჩამჩირის რაიონებში საერთაშორისო პოლიციელების შეყვანას და პარალელურად დევნილების დაბრუნებას? ეს არის საკითხავი და გარდა ამისა, რუსეთსაც სჭირდება, თუ შეიძლება ითქვას, თავისი ხეირი ამ გარიგებიდან.

თუ პაკეტის ნაწილი იქნება ცეცხლის განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულება, რომელსაც მოსკოვი და სოხუმი ითხოვდნენ, მაშინ, შესაძლოა, ამგვარი დოკუმენტი დამატებითი ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდეს გალისა და ოჩამჩირის რაიონებში საპოლიციო ძალების განლაგებისთვის, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა მთელს რეგიონში უსაფრთხოების ერთიანი სისტემის გავრცელებას. მაგრამ აქვე დგება საკითხი, თუ ვინ იქნებიან ცეცხლის განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულების გარანტორები. მხოლოდ რუსეთი თუ დასავლეთის სხვა ქვეყნები? აქ უკვე რუსეთის ინტერესებს ვეხებით და ეს ამოცანა რთულდება, მაგრამ ვფიქრობ, დიპლომატიურ ფრონტზე უნდა გაგრძელდეს მუშაობა და ბერლინში და ბერლინის მსგავს შეხვედრებზე ეს საკითხები უნდა იყოს განხილული.

**— გასული კვირა მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტერიალმა რუსეთი აფხაზეთის კონფლიქტში კონფლიქტის მხარედ აღიარა. აფხაზეთის შესახებ გაეროს გენმდივნის შუალედურ მოხსენებაში დაფიქსირებულია რუსეთის დესტრუქციული როლი. შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ გაერო აფხაზეთის საკითხში რუსეთის მონაწილეობის გადახედვას სერიოზულად გეგმავს?**

— ეს, სულ მცირე, ნიშნავს შემდეგს — საერთაშორისო თანამეგობრობის აზრი ყალიბდება იმგვარად, რომ რუსეთი განიხილოს კონფლიქტის მხარედ. არავისში ეჭვს არ იწვევს, რომ რუსეთი დაინტერესებული მხარეა, მაგრამ ეს რამდენად საკმარისი პირობა იქნება საიმისოდ, რომ გაეროში რუსეთის ვეტოს პირობებში რუსეთის წინააღმდეგ გადაწყვეტილება ასე ადვილად მიიღება.

**— რუსეთის სახელისუფლო წრეებთან დაახლოებული რუსი ექსპერტები ხშირად გამოთქვამენ აზრს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის ერთადერთი გზა აფხაზეთის ტერიტორიის გაყოფაა. ისინი გაყოფის სხვადასხვა ვერსიებზე საუბრობენ. თქვენი აზრით, რამდენად რეალური და საფუძვლიანია რუსი ექსპერტების ვარაუდები?**

— საერთოდ, გამორიცხული არაფერი არ არის და ყველანაირი გადაწყვეტილება შესაძლებელია, მათ შორის — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, თეორიულად აფხაზეთის დამოუკიდებლობაც, შესაძლოა, ტერიტორიის გაყოფაც, მაგრამ დღეს კონიუნქტურა ისეთია, რომ არც ერთი ამ გეგმის განხორციელების 100%-იანი პირობა არ არსებობს. დღევანდელი მომენტის სირთულეც ეს არის. ამიტომ ტერიტორიის გაყოფის გეგმა, შესაძლოა, ვიღაცის თავში არსებობდეს, ისევე როგორც აფხაზი სეპარატისტების გეგმებში — აფხაზეთის დამოუკიდებლობის მიღწევა, მაგრამ არსებობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გეგმაც, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობის უდიდესი ნაწილი იზიარებს.

დღევანდელი ვითარების სირთულე ის არის, რომ არსებული კონფლიქტი საკმარისზე მეტად მწვავეა და კონფლიქტის მხარეთა პოზიციები რადიკალურად განსხვავებულია. ამას ემატება ისიც, რომ აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის ინტერესები იმდენად აშკარაა, რომ ძალიან დიდი დრო დასჭირდება კონფლიქტის მოგვარების ისეთი ფორმულის მოძებნას, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარეს დააკმაყოფილებს.

დღეს საერთაშორისო თანამეგობრობა სწორედ ამ ფორმულის ძიებაშია. ზოგიერთი რუსი პოლიტოლოგის აზრი გაყოფის თაობაზე ამ ფორმულის ძიების ერთ-ერთი ვარიანტია. მათ ჰგონიათ, რომ დღევანდელ ვითარებაში გაყოფის გეგმა „იმუშავებდა,“ მაგრამ ეს იდეა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ რომ დგას, ფაქტია.

ამიტომ უნდა დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. ჯერჯერობით მხარეებს შორის დიალოგი არ არსებობს. პირველ რიგში დიალოგი და მხარეებს შორის ნდობა უნდა აღდგეს და ამის შემდეგ გამოჩნდება პერსპექტივები და ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი კონფლიქტის მოგვარების ყველასთვის მისაღები ფორმულის მოძებნა.

**კობა ბენდელიანი**

პოზიცია

# სოსო ცინცაძე: საქართველოს კვიპროსიზაცია დასავლეთს ძალიან აძლევს ხელს

## ჩვენთვის უცნობია შტაინმაიერის გეგმა – აისბერგის წყალქვეშა ნაწილი



*ჩვენი ქვეყნისთვის კონფლიქტების მოგვარება, რუსეთთან ურთიერთობა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კვლავაც მთავარ პრობლემად რჩება. საქართველოს ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ამ მხრივ მთავარი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, აღარ არსებობს გაყინული კონფლიქტები და ცოტაღა დარჩა მთავარ დაპირებამდე — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე.*

*იმაზე, თუ რეალურად, რა ვითარებაა ქვეყანაში, როგორია გერმანელების მიერ შემოთავაზებული კონფლიქტების მოგვარების გეგმა, გვესაუბრა პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:*

— გვირაბის ბოლოს, თითქოს სინათლე გამოჩნდა. ევროპელმა პოლიტიკოსებმა მოუხშირეს სოხუმსა და თბილისში ვიზიტს და ამ ეტაპზე გამოჩნდა გერმანელების შემოთავაზებული გეგმაც. სამწუხაროდ, ჩვენ ეს გეგმა არ გაგვიანალიზებია და არ განგვიხილავს. საზოგადოების უმრავლესობამ არ იცის, რას ნიშნავს იგი. მაგალითად, ჩემთვის არავის დაუსვამს კითხვა ამ გერმანული გეგმის შესახებ. არადა, ერთი შეხედვით, დღეს ის თითქოს ყველაზე პერსპექტიულია. მართალია, გერმანელების გეგმის მიმართ არის შენიშვნები, მაგრამ იგი მისაღები აღმოჩნდა რუსებისთვის, ამერიკელებისთვის და ჩვენი ხელისუფლებაც ოპტიმისტურად უყურებს მას. პირადად ჩემთვის კი, ვიდრე ქართული საზოგადოება სრულად არ გაიცნობს გერმანელების შემოთავაზებულ გეგმას, იგი ტერაინკოგნიტოა.

**— მაშინ იქნებ უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ გერმანულ გეგმაზე და კონფლიქტების მოგვარებაზე?**

— გეგმა სამეტაპიანია: თავდაუსხმელობა, სოციალური რეაბილიტაცია და დევნილების დაბრუნება.

იხ. 5 გვ.

თვალსაზრისი

# სუამი და საქართველოში კონფლიქტების გადაჭრის პრობლემები



**პაატა ზაქარეიშვილი**

განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრის ხელმძღვანელი (თბილისი, საქართველო)

## სამართლებრივი სივრცე და ინსტიტუტები

**1993-1994 წლებში ხელი მოეწერა ყველა ხელშეკრულებას, რომლებსაც აყალიბებდნენ შესაბამისი ინსტიტუტები. მათ ეკისრებათ ვალდებულება სამშვიდობო პროცესით მართონ კონფლიქტები და მოახდინონ მათი ტრანსფორმირება.**

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძველია 1992 წლის 24 ივნისს სოჭში საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ხელმოწერილი „შეთანხმება საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ“. ამ დოკუმენტის შედეგი გახდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე ცეცხლის საბოლოო და ნამდვილად შეწყვეტა. ამის შემდეგ შეიქმნა შერეული საკონტროლო კომისია (შსკძ – ოთხმხრივი ორგანო ქართული, სამხრეთ ოსური, რუსული და ჩრდილოეთ ოსური მხარეების მონაწილეობით. 1992 წლის ივლისში ამ დოკუმენტის საფუძველზე შეიქმნა მშვიდობისმყოფელი ძალების გაერთიანებული სამმხრივი კონტინგენტი საერთო სარდლობითა და 1500 სამხედრო მოსამსახურით. 1992 წლის 6 ნოემბერს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის გადაწყვეტილებით ეს სტრუქტურა (შემდგომში ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია – ეუთოძ უშუალოდ ერთვება ქართულ-ოსური დაპირისპირების მოწესრიგებაში.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძველია: „განცხადება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“, მიღებული 1994 წლის 4 აპრილს და იმავე დღეს ხელმოწერილი „ოთხმხრივი შეთანხმება ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ“, აგრეთვე 1994 წლის 14 მაისის „შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორიშორების შესახებ“.

საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეთვალყურეო მისია დაწესდა გაეროს უშიშროების საბჭოს 1993 წლის 24 აგვისტოს რეზოლუციით № 858 (1993ძ. გაეროს უშიშროების საბჭოს 1994 წლის 21 ივლისის რეზოლუციით № 937 (1994ძ განისაზღვრა სმგმ-ის მანდატი, რომელიც შეიცავს:

აძ ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ 1994 წლის 14 მაისს მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმების შესრულებაზე თვალყურის დევნებასა და კონტროლს;

ბძ დსთ-ს სამშვიდობო ძალების ოპერაციის თვალყურის დევნებას შეთანხმების შესრულების ფარგლებში;

გძ კონტროლს პატრულირების გზით, აგრეთვე იმაზე თვალყურის დევნებას, რომ მხარეთა ჯარები არ დარჩნენ უშიშროების ზონაში და არ დაბრუნდნენ იქ;

დძ თვალყურის დევნებას იმ მძიმე საბრძოლო ტექნიკის შენახვის რაიონებზე, რომელიც გამოტანილია უშიშროების ზონიდან და შეიარაღების შეზღუდვის ზონიდან; საჭიროების შემთხვევაში – თანამშრომლობას დსთ-ს სამშვიდობო ძალებთან;

ეძ თვალყურის დევნებას კოდორის ხეობიდან საქართველოს რესპუბლიკის ჯარების გამოყვანაზე აფხაზეთის, საქართველოს რესპუბლიკა, ფარგლებს გარეთ;

ვძ კოდორის ხეობის რეგულარულ პატრულირებას;

ზძ ნებისმიერი მხარის ან დსთ-ს სამშვიდობო ძალების თხოვნის, ანდა საკუთარი ინიციატივით ცნობების ან მტკიცებათა გამოკვლევას შეთანხმების დარღვევისა და ასეთი ინციდენტების მოწესრიგების ან მოწესრიგებისთვის ხელშეწყობის შესახებ;

თძ გენერალური მდივნისთვის მოხსენებათა რეგულარულ წარდგენას თავისი მანდატის ფარგლებში, კერძოდ, შეთანხმების შესრულების, ნებისმიერი დარღვევისა და სმგმ-ს მიერ მათი გამოკვლევის, აგრეთვე სხვა შესაბამის მოვლენათა შესახებ;

იძ მჭიდრო კონტაქტების დამყარებას კონფლიქტის ორივე მხარესთან და დსთ-ს სამშვიდობო ძალებთან თანამშრომლობას, აგრეთვე რაიონში თავისი ყოფნით ხელსაყრელი პირობების შექმნისადმი ხელშეწყობას ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და მოწესრიგებული დაბრუნებისთვის.

დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების საბჭომ 1994 წლის 22 აგვისტოს მიიღო გადაწყვეტილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების გამოყენების შესახებ. იგი ემყარებოდა აფხაზური მხარის 1994 წლის 15 მაისისა და ქართული მხარის 1994 წლის 16 მაისის თხოვნებს, რომლებშიც კონფლიქტის მხარეები თითქმის ერთდროულად სთხოვდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ხელმძღვანელობას, რაც შეიძლება მალე შეიყვანონ სამშვიდობო ძალები კონფლიქტურ ზონაში მშვიდობის შენარჩუნებისთვის. დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურებმა გადაწყვიტეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განეთავსებინათ მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალები, რომლებიც შედგებოდნენ რუსეთის სამხედრო კონტინგენტისგან. სამშვიდობო ძალების მოქმედების პერიოდში მათ დაეკისრათ შემდეგი ამოცანები: აძ კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის, მშვიდობის დამყარებისა და სამხედრო მოქმედებათა თავიდან აცილების მკაცრი დაცვის უზრუნველყოფა მოკონფლიქტო მხარეების შეიარაღებულ ფორმირებათა დაშორიშორების გზით; ბძ პირობების შექმნა თავიანთ ყოფილ საცხოვრებელ რაიონებში იმ ადამიანთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისთვის, რომლებმაც დატოვეს კონფლიქტის ზონა. და ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი შეთანხმების სხვა დებულებების შესრულება.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ 1994 წლის 4 აპრილის განცხადებამ დაუდო სათავე ეგრეთ წოდებულ „ჟენევის პროცესს“, რომლის მიზანია ქართულ-აფხაზური რეგულარი სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესის მხარდაჭერა. მორიგ შეხვედრაზე ჟენევაში (1997 წლის 17-19 ნოემბერიძ ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ, რომლის ფარგლებშიც იმოქმედებდა სამი სამუშაო ჯგუფი კონკრეტული მიმართულებებით:

– ცეცხლის მყარი განუახლებლობის საკითხები და უშიშროების პრობლემები;

– ლტოლვილი და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირები;

– ეკონომიკური და სოციალური პრობლემები.

იმავე შეხვედრაზე ჟენევაში მიღებული იქნა გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეგობართა ჯგუფის შექმნის შესახებ. თავისი სტატუსით ამ ჯგუფს შეეძლო მიეღო მონაწილეობა შეხვედრებსა და სხდომებში, გამოსულიყო განცხადებებითა და წინადადებებით სამშვიდობო პროცესის სხვადასხვა ასპექტთან, მათ შორის პოლიტიკურ მოწესრიგებასთან დაკავშირებით.მეგობართა ჯგუფი არაა მხარე მოლაპარაკებებში და მას არ იწვევენ იმ დოკუმენტებზე ხელმოსაწერად, რომლებიც შეთანხმებულია კონფლიქტის მხარეების მოლაპარაკებების დროს. ჯგუფში შევიდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი.

საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების ძირითადი პრინციპების საერთო ხედვა ასახულია ეგრეთ წოდებულ „ბოდენის დოკუმენტში“. ყველა მისი მნიშვნელობის მიუხედავად, „ბოდენის დოკუმენტის“ მიმართ პრინციპული ხასიათის პრეტენზიები აქვთ როგორც აფხაზურ, ისე ქართულ მხარესაც. აფხაზურ მხარეს აშინებს რეინტეგრაცია საქართველოს სახელმწიფოში, ქართულ მხარეს კი – აფხაზეთის სუვერენულობის სტატუსის დადასტურება. ასეთი წინაალმდეგობა? „ბოდენის დოკუმენტის“ ძირითადი პრინციპების კონკრეტული, სამართლებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით განსაზღვრული დემოკრატიული მექანიზმებითა და ორივე მხარისათვის გარანტიებით შევსების შემთხვევაში გადაწყვეტილებათა დამუშავება უნდა გახდეს მისაღები. მაგრამ ეს უნდა გააკეთონ უშუალოდ ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა, ვინაიდან ვერც გაერო, ვერც საერთაშორისო თანამეგობრობა მათ გარეშე ვერ შეძლებენ განსაზღვრონ, თუ კონკრეტულად სუვერენიტეტის როგორი ხარისხი შეესაბამება ერთდროულად ორივე მხარეს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მყარი ინსტიტუტებისა და აღწერილი კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და გადაწყვეტაზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებისა, აგრეთვე დადებული მრავალრიცხოვანი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებებისა, კონფლიქტის მხარეები აი უკვე 15 წელია იცავენ რადიკალურ და შეურიგებელ პოზიციას. აფხაზური და ოსური მხარეები რიტორიკის დონეზე ისწრაფვიან საქართველოსგან მათი დამოუკიდებლობისკენ და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარებისკენ. საქართველოს




მხარიდან კი დღემდე უპასუხოდ რჩება დიდმნიშვნელოვანი საკითხები: როგორ წარმოუდგენია ქართულ ხელისუფლებას ქვეყნის მომავალი წყობის მოდელი, როგორი მექანიზმით იქნება გარანტირებული აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სუვერენიტეტი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში და, საერთოდ, როგორ სუვერენიტეტზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? ცენტრალურ ხელისუფლებას დღემდე ვერ შეუმუშავებია ერთიანი პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით.

იმის გამო, რომ თბილისს არა აქვს ერთიანი პოზიცია, რომელიც შემოწმებული იქნებოდა პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით, დღემდე ძირითადი იმედები კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში ემყარება გარეშე ძალებს (გაერო, რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, მეგობართა ჯგუფი, ეუთო, ევროსაბჭო, სუამიძ. არსებული ვითარება ქმნის პრობლემებს მეგობრული ქვეყნებისთვისაც და ინსტიტუტებისთვისაც იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს მთავრობის მკაფიო პოზიცია საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში „ჩამოშორებული“ რეგიონების სტატუსისა და გარანტიების შესახებ. მეგობარ ქვეყნებს ობიექტურად უჭირთ, დაარწმუნონ აფხაზური და ოსური მხარეები საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების აუცილებლობაში.

***როგორ წარმოუდგენია ქართულ ხელისუფლებას ქვეყნის მომავალი წყობის მოდელი, როგორი მექანიზმით იქნება გარანტირებული აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სუვერენიტეტი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში და, საერთოდ, როგორ სუვერენიტეტზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? ცენტრალურ ხელისუფლებას დღემდე ვერ შეუმუშავებია ერთიანი პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით***

(გაგრძელება იქნება)

◎ პოზიცია

# სოსო ცინცაძე: საქართველოს კვიპროსიზაცია დასავლეთს ძალიან აძლევს ხელს

(მესამე გვერდიდან)

პირველი, მთავარი ეტაპი იმეორებს უკვე სტეროტიპულ თემას – ნდობის აღდგენას. „ნდობის აღდგენა“ ეს უკვე ძალიან გაცვდა, მან სრული ინფლაცია განიცადა, უპირველესად, ჩვენი არასამთავრობო სექტორის მხრიდან, რომლებიც უკვე თხუთმეტი წელია იმაზე ლაპარაკობენ და ვითომდა, მუშაობენ კიდეც. რეალურად კი, რაც უფრო მეტს ლაპარაკობენ ნდობის აღდგენაზე, მით უფრო სადღაც ქრება და იკარგება ეს ნდობა.

**— გერმანელების გეგმაში რა წერია, როგორ უნდა აღდგეს ნდობა?**

— სწორედაც, რომ ეს არ წერია. გერმანელები ამბობენ, რომ უნდა მოხდეს კონფლიქტური ზონის ეკონომიკური რეაბილიტაცია. ასევე, შეიქმნას მშვიდობის ზონა, თუმცა რა არის „მშვიდობის ზონა“, არავინ იცის.

ეს გეგმა აფხაზებმაც მიიღეს განსახილველად, მაგრამ მათ აქვთ პრინციპული შენიშვნები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში ქართველებისთვის ამ გეგმას აზრი არ ექნება.

აფხაზი სეპარატისტები მზად არიან იმ საკითხებზე სასაუბროდ, რომლებიც მათ აინტერესებთ. ის არის თავდაუსხმელობის გარანტიისა და სოციალური რეაბილიტაციის საკითხები. რასაკვირველია, მათ სურთ უსაფრთხოდ იყვნენ, აფხაზეთში ეკონომიკური აღმშენებლობა დაიწყოს, ჩაიდოს ინვესტიციები, ხალხი დასაქმდეს და ა. შ. ერთი მხრივ, ასეთი ეკონომიკური რეაბილიტაცია აფხაზ მოსახლეობას კარგ პირობებს შეუქმნის, მაგრამ მეორე მხრივ, ასეთ პირობებში ათჯერ და ოცჯერ უფრო განმტკიცდება სეპარატისტული ხელისუფლებაც. ბუნებრივია, ჩვენ გვსურს ჩვენი მოძმე აფხაზების ცხოვრების დონის გაუმჯობესება, მაგრამ სეპარატიზმის გაძლიერება ხელს არ გვაძლევს. ეს ორივე ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული და ორლესული მახვილივითაა.

რაც შეეხება ჩვენთვის ყველაზე მთავარსა და მნიშვნელოვანს – სტატუსის გარკვევას, აფხაზებსა და ოსებს ამის ხსენებაც არ სურთ. ისინი ამბობენ, რომ მათთვის სტატუსი გარკვეულია, თავს დამოუკიდებლად ცნობენ და ამ საკითხზე საუბარს არ აპირებენ. გამოდის, რომ ამ გეგმიდან, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, სეპარატისტებისთვის მიუღებელი და ტაბუირებულია.

კონფლიქტების მოგვარების გეგმის მესამე და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი დევნილების დაბრუნებაა. ბაღაფშმა განაცხადა, რომ დევნილების დაბრუნებისთვის აფხაზეთში არანაირი პირობა არ არის. სეპარატისტული მთავრობის ერთ-ერთი სახე შამბაც აცხადებს, თუ დევნილები დაბრუნდებიან, მათ უნდა იცოდნენ, რომ დამოუკიდებელ აფხაზეთში ბრუნდებიან.

ჩვენ ხელს გვაძლევს ასეთი დაბრუნება?! აფხაზებმა და რუსებმა იციან, რომ დევნილების დაბრუნების შემთხვევაში იქ ქართველები მეტნი იქნებიან, ვიდრე აფხაზები და არსებული დემოგრაფიული ვითარება აღდგება. ეს კი მათ ხელს არ აძლევთ. ძალიან მეეჭვება, რომ მათ ეს პოზიცია შეცვალონ. მათ უკვე ჩიხში მოიქციეს თავი, ამ თემაზე მოსალაპარაკებელი ყველა ხიდი დაწვეს.

ამრიგად, შტაინმაიერის გერმანული გეგმის განხილვისას და მისი მიღების დროს ჩვენ გვჭირდება გარანტია, რომ იგი სრულად შესრულდება. მეშინია, ისე არ მოხდეს, რომ ამ გეგმის მხოლოდ ორი ეტაპი – თავდაუსხმელობა და სოციალური რეაბილიტაცია – შესრულდეს და მესამე, ლტოლვილების დაბრუნების ეტაპი, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ვერ განხორციელდეს. შტაინმაიერის გეგმაში კონკრეტულად მინიშნებული არ არის, თუ როდის უნდა დაიწყოს მესამე ფაზის შესრულებაზე მოლაპარაკებები. ასევე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე სიტყვაც არ არის ნათქვამი. მოსახლეობისადმი ხელისუფლების მთავარი დაპირება სწორედ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იყო. არადა, ამ გეგმაში ასეთი ტერმინიც არ არის ნახსენები. ძალიან მიკვირს ჩვენი ზოგიერთი პოლიტიკოსის, მაგალითად, დავით დარჩიაშვილის, რომელიც ამბობს, რომ რადგანაც აფხაზები მოლაპარაკებაზე მოდიან, უკვე პროგრესიაო. რა არის აქ ტაშის დასაკრავი?! აფხაზები მართლაც მოდიან მოლაპარაკებებზე, მაგრამ მხოლოდ მათთვის ხელსაყრელ თემებზე სურთ საუბარი. ნუ ჰგონიათ ჩვენს ზოგიერთ მინისტრსა და ხელისუფლების წარმომადგენელთ, რომ მათ ყველაფერი იციან და საზოგადოება კი მხოლოდ დეგენერატებისგან შედგება.



**— თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადება, დღესდღეობით კონფლიქტების საკითხი ღღვებაო, უმართებულოა?**

— საკითხები, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დევნილების უპირობო დაბრუნება, ვფიქრობ, კვლავაც გაყინულია. თუ წარმოვიდგენთ აისბერგს, მისი წყალს ზედა ნაწილი იქნება ის გეგმა, რომელსაც შტაინმაიერი გვთავაზობს, მაგრამ ჩვენთვის უცნობია აისბერგის წყალქვეშა ნაწილი, რომელმაც, სხვათა შორის, ტიტანიკი ჩაძირა. არ ვიცით, რა გზას გვთავაზობს გერმანია ტაძრამდე მისასვლელად, რომელსაც ჩვენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ვეძახით. თუ ის გზა შუა გზაში გაჩერდა, მაშინ მისი გაყვანის ცდასაც აღარა აქვს აზრი.

**— რა შეცდომები დაუშვა ქართულმა მხარემ? ჩვენც ხომ არ შევუწყვეთ ხელი კონფლიქტების ჩიხში შესვლას?**

— ქართული დიპლომატიის არსებითი შეცდომა, შევარდნაძის დროიდან მოყოლებული დღემდე, არის ის, რომ მთავარ პრობლემად იმთავითვე ეთნოწმენდა არ წარმოვაჩინეთ. ეთნოწმენდა კაცობრიობის წინაშე დანაშაულია და სწორედ ამის მაგალითია კოსოვო. ეთნოწმენდა უნდა გვექცია მსოფლიოს სინდისის თემად. ჩვენ ვერ მივაღწიეთ ევროპული საზოგადოების შერცხვენას იმით, რომ მეოცე საუკუნის ბოლოდან დღემდე კიდევ არსებობენ ეთნოწმენდის მსხვერპლნიც.

ასევე, ჩვენი პოლიტიკური შეცდომა იყო, რომ საშინაო პრობლემები საგარეო პრობლემად ვაქციეთ.

რუსეთთან ურთიერთობაშიც ბევრი შეცდომა დავუშვით შევარდნაძის დროიდან მოყოლებული. ყველაზე მარტივი მაგალითი მოვიტანოთ... რატომ მოხდა, რომ ჩვენი ყველაზე მეტი ელჩი რუსეთში შეიცვალა და არც ერთი ელჩი რუსეთის სპეციალისტი არ ყოფილა? არც ერთი ჩვენი ელჩი მეცნიერულად არ იცნობდა თანამედროვე რუსეთს. ელჩების გაშვების პრინციპი, რომელიც ავტომატურად გადმოვიღეთ ამერიკიდან, არასწორად მიმაჩნია. პირადად ამერიკის ელჩს ნაკლები მოეთხოვება, ვინაიდან მის უკან მთელი ინსტიტუტი დგას. ჩვენ კი პატარა სახელმწიფო ვართ და ჩვენს ელჩებს ბევრად მეტი მოვალეობები აქვთ, მათ გაცილებით მეტი პროფესიონალიზმი სჭირდებათ. მართალია, საგარეო პოლიტიკა პრეზიდენტის პრეროგატივაა, მაგრამ ისიც ჩვეულებრივი ადამიანია და მის დღე-ღამეშიც 24 საათია. მას სჭირდება უაღრესად დიპლომატიური და კვალიფიციური კადრები. არ ვარ დარწმუნებული, რომ კიწმარიშვილი იქიდან პრეზიდენტს კონფიდენციალურ და პროფესიონალურ ინფორმაციას აწვდის რუსეთის თანამედროვე პოლიტიკურ ანატომიაზე. ასე რომ, ნუღარ გვიკვირს, რომ ვმკითხაობთ, თუ რა უნდა გავაკეთოთ რუსეთთან ურთიერთობისას.

**— თუმცა, დასავლეთი და საერთაშორისო საზოგადოება, მართლაც, დაინტერესებული ჩანს ჩვენი პრობლემებით და მათი იმედი უნდა გვქონდეს?**

— დასავლეთის ბროლის ოცნება, იგივე გაეროსი, შტაინმაიერისაც და გნებავთ, სარკოზისაც არის ის, რომ აქ შეიქმნას კვიროსის მსგავსი სიტუაცია. უკვე ოცდაათ წელზე მეტია იქ ისეთი სიტუაციაა, დრო და დრო ხვდებიან, მოლაპარაკებები აქვთ, პრაქტიკულად კი კვიპროსის ჩრდილოეთ თურქეთის რესპუბლიკა დამოუკიდებელია და ის ისევ გაყოფილია.

დასავლეთისთვის მთავარია, რომ ომი არ არის და სისხლი არ ილვრება. გაეროსაც არ სტკივა. კვიპროსის მიმართ დასავლეთის ინტერესი ქრება, ის ნელ-ნელა ავიწყდება საერთაშორისო საზოგადოებას.

**— თქვენი აზრით, შეიძლება კვიპროსის მსგავსი სიტუაცია ჩვენთანაც შეიქმნას?**

— ყოველ შემთხვევაში, დასავლეთი თავს არ მოიკლავს, თუ საქართველოშიც იგივე განმეორდება. უფრო მეტიც, დასავლეთში ბევრს ასეთი სიტუაცია მოეწონება. აფხაზეთი – საქართველოს კვიპროსიზაცია დასავლეთს ძალიანაც აძლევს ხელს. სხვა საკითხია ჩვენ თუ გვაძლევს ხელს.

**— როგორი უნდა იყოს გეგმა, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნებოდა ჩვენთვისაც, აფხაზებისთვისაც, ოსებისთვისაც, რუსებისთვისაც, და რომლითაც კონფლიქტები აღმოიფხვრებოდა?**

— გულწრფელად რომ გითხრათ, არ არსებობს ისეთი გეგმა, რომლითაც ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენთ და სეპარატისტებსაც ალაფრთოვანებთ ეს ილუზია. ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება. სეპარატისტებზე საჭიროა რბილი ზემოქმედება. ამას გვიჩვენებს მსოფლიო პრაქტიკაც. ამიტომაცაა გაეროს წესდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი – იძულებითი მშვიდობა. იძულებითი მშვიდობა ზოგჯერ და ზოგიერთ სიტუაციაში ომსაც ნიშნავს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მისი შერბილებული ვარიანტი, ანუ ზეწოლა აუცილებელი და საუკეთესო მეთოდია. როდესაც სამხრეთ აფრიკაში რასიზმის აღმოსაფხვრელად მკაცრი სანქციები შემოიღეს, ისინი იძულებული გახდნენ დამორჩილებოდნენ და ამით რასიზმის პრობლემა აღმოეფხვრათ. დღეს, რაც ხდება სოხუმში, იგივეა, რაც მაშინ ხდებოდა აფრიკაში. როგორი სამარცხვინოც იყო რასიზმის ძალადობა, ისეთივეა ეთნოწმენდა.

ვითარება, მართლაც, მტკივნეულია. პროცესი საკმაოდ რთულია და რუსეთმა მიაღწია, რომ დღეს აფხაზებს არა მარტო ეშინიათ ქართველების დაბრუნების, არამედ მათ ტოტალურად სძულთ კიდეც ქართველები. ამის თქმა, ალბათ, პოლიტიკურად არაკორექტულია, მაგრამ თვალის დახუჭვაც არ შეიძლება. თუმცა ამის განკურნებაც შეიძლება. არანაკლებ სძულდათ ერთმანეთი გერმანელებსა და ფრანგებს, მაგრამ დღეს ამ ორ ქვეყანას შორის თითქმის გამყოფი საზღვარიც აღარ არის. ყველაფერი შეიძლება მოგვარდეს, მაგრამ როგორც ჩანს ამისთვის სხვა პირობები და პოლიტიკოსებია საჭირო.

თავისთავად მისასალმებელია, რომ ამდენი ხნის შემდეგ გერმანელებმა შექმნეს გარკვეული გეგმა და ეს მართლაც გვირაბიდან გამოჩენილ სინათლეს გავს, მაგრამ მრავალი კითხვის ნიშანი მაინც არსებობს. ამრიგად, ჩვენგან ფრთხილი ოპტიმიზმი სჯობს ბრიყვულ აღფრთოვანებას.

ესაუბრა
**თამარ ბუზალაძე**

◎ ინფორმაცია

# რა არ მოსწონს ლავროვის უწყებას?

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გაეროს გენერალური მდივნის მოხსენების თაობაზე საქართველოს საგარეო უწყების განცხადებას ცალმხრივს უწოდებს.**

მოსკოვი ქართულ და აფხაზურ მხარეებს კვლავ ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების გაფორმების და კოდორის ხეობის ზედა ნაწილში ვითარების დეესკალაციისკენ მოუწოდებს.

„მოლაპარაკებათა შეჩერებული პროცესის ფონზე კონსტატირებულია, რომ კონფლიქტის ზონაში ვითარება, როგორც პოლიტიკური, ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით სერიოზულად გაუარესდა. გაგრაში, სოხუმსა და გალში აფეთქებების შედეგად დაშავდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, გარდაიცვალა საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის თანამშრომელი“, – ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

აქვე აღნიშნულია, რომ პან გი მუნის მოხსენებაში ხაზგასმულია საქართველოს მხრიდან დაშვებული დარღვევები.

რუსეთის საგარეო უწყება მიიჩნევს, რომ გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო უწყების განცხადება მოხსენების კონტექსტიდან ამოვარდნილ მონაკვეთებზეა დამყარებული და რეგიონში რუსეთის ქმედებებისკენ არის მიმართული.

„ასეთი ცალმხრივობა უადგილოდ მიგვაჩნია და კვლავ იმ მოსაზრებიდან გამოვდივართ, რომ კონფლიქტის მოგვარება მხარეთა შორის პირდაპირი დიალოგის გზით უნდა მიმდინარეობდეს“, – აცხადებს ლავროვის უწყება.

განცხადებაში ნათქვამია, რომ კოდორის ხეობის ზედა ნაწილში რიგ ობიექტებზე გაეროს დამკვირვებელთა დაუშვებლობის ფონზე თბილისის ზოგი ქმედება ეჭვს იწვევს. რუსეთის საგარეო უწყება მიიჩნევს, რომ ამის გამო არ არსებობს ამ რაიონში საქართველოს სამხედრო დაჯგუფებების რაოდენობის დადგენის საშუალება.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო დარწმუნებულია, რომ უსაფრთხოების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრა მოწესრიგების სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობასაც შესაძლებელს გახდის, მათ შორის ნდობის აღდგენის, ეკონომიკური რეაბილიტაციისა და დევნილების დაბრუნების მიმართულებით.

**ინტერპრესნიუსი**

ანტიეკონომიკა

# მუხრან ბატონის ყმობითა...

## საგადასახადო ტვირთმა ქვეყანა წელში გაწყვიტა




***ამჟამინდელი** ყოფა არც თუ იშვიათად შეგვახსენებს ხოლმე მუხრან ბატონის ყმობისდროინდელ ხანას. ამ ანალოგიაში არის რაღაც ლოგიკა. მშრომელმა კაცმა ვერც მაშინ დაიდგა „პური გოდრით“ და ვერც ახლა, ხელხვავიან „ნაციონალთა“ ბატონობის პერიოდში, როცა მათივე თქმით, ქვეყანაში ეკონომიკა აყვავდა (ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, ის ყოველწლიურად 10-12 პროცენტით იზრდება, ბიუჯეტიც შემოსავლების ზღვაში ცურავს), ხალხი კი რატომღაც დაიმშა. და ამასთან ერთად ლოგიკაც დაიმსხვრა — თუ ეკონომიკა ისე ამაღლდა, რომ ცაში შევარდენივით ნავარდობს, მთავრობას ქვეყანაში გამეფებული სიღატაკის წინააღმდეგ 50-თვიანი ლაშქრობა რიღასთვის დასჭირდა (?!).*

თუმცა, უმჯობესია, ლოგიკას მოვეშვათ (მას მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში მაინც ვერ ვიპოვითძ და იმ რეალობაში ჩავიხედოთ, რაც ჩვენს გარშემო ყოველდღიურად ხდება. რეალობა კი ის გახლავთ, რომ საბაზრო ეკონომიკის შირმაში გახვეულმა საგადასახადო კოდექსმა, რომელსაც გალიბერალების მოტივით წარამარა ცვლიან, მაგრამ ყოველ ასეთ შეცვლაზე ის კიდევ უფრო დრაკონული ხდება, ქვეყანაში მეწარმეობა განვითარების ნაცვლად გაანადგურა, ბაზარზე უცხოური პროდუქცია გააბატონა, ხოლო სამამულო წარმოებისა — განდევნა, გაზრდილი ტარიფებითა და ხარკით მოსახლეობის სისხლის მწოველი საზღვარგარეთელი ინვესტორები მოამრავლა და ქვეყანა სილატაკის ჭაობში ჩაძირა.

იქნებ ხელისუფლებაში ამის თაობაზე არაფერი იციან? აბა რას მეუბნებით, რომ არ იცოდნენ, შარშან უსახსრობით და უსამართლობით აღშფოთებული ხალხის მასობრივი საპროტესტო გამოსვლების დღეებში, შეშინებული და აცახცახებულნი პარლამენტისა და კანცელარიის შენობებში არ შეიკეტებოდნენ (არიქა არ დაგვამხონო, არც მომწამვლელ გაზს გაუშვებდნენ და დემონსტრანტებს არც რეზინის ტყვიებს დაუშენდნენძ, ხალხის გულის მოსაგებად არც სიღარიბის დამძლევ პროგრამას შეიმუშავებდნენ და მის ვითომდა შესასრულებლად არც ამდენს იფაფხურებდნენ.

ეს რომ უფრო ფაფხურია, ვიდრე რეალურ საქმეთა კეთების წყურვილი, ამ დღეებში რედაქციაში გამოგზავნილ მეწარმეთა წერილებიდანაც ჩანს: **„შეიძლება არც დაიჯეროთ, — იწერებიან შალვა იაშვილი, ნინო კაკაურიძე, მერი დავლიანიძე, გიორგი ჭყოიძე, — ხელისუფლებაში სულ იმის ცდაში არიან, რომ ისეთი გადასახადი გამოჩხრიკონ, რომელიც მეწარმეობაზე საბოლოოდ ხელს აგვაღებინებს. როგორც ახლახან გახდა ცნობილი, სალარო-აპარატებზე ქვითრის გამოურტყმელობისთვის 500, 1500, 2500 ლარის ჯარიმა საბოლოოდ მაინც დაწესდა. არჩევნების წინ ნაციონალები გვპირდებოდნენ, რომ ასეთ დრაკონულ გადასახადს შეცვლიდნენ, მაგრამ როგორც ყოველთვის, ახლაც გაგვაცურეს, მათ სასწრაფოდ შეცვალეს საარჩევნო კანონი და კონსტიტუცია ჩოხასავით მოირგეს. უბრალო ხალხი, მეწარმეები კი დაავიწყდათ და პირველივე მოსახვევში თავს გაუაზრებლად მაღალი, მტაცებლური ჯარიმები დაგვატეხეს. დაგვეთანხმებით, კარგი, ყურადღებიანი მოლარის მონახვა იოლი არ არის, მის უბრალო შეცდომას, გულმავიწყობას თუ უპასუხისმგებლობას კი შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს. თქვენ რამდენი მოლარეც გინდა ცვალეთ, ჯარიმები მათი დაუდევრობის გამო, დროის გასვლის მიუხედავად, პროგრესულად მატულობს, რაც მეწარმეთა ეკონომიკური გაჩანაგების ტოლფასია. ასეთი მკაცრი და მტაცებლური გადასახადები, გვერწმუნეთ, ქვეყანას კეთილდღეობას არ მოუტანს. ჩვენთვის გაუგებარია, თუ სახელმწიფოს აქვს შეცდომების დაშვების უფლება ან, ვთქვათ, მინისტრს „კარუსელზე კატაობის“ უფლება, მეწარმემ ისეთი რა დააშავა, რომ მისი ბედიღბალი მოლარის შეცდომაზე იყოს ჩამოკიდებული. ეს ხომ უაზრობაა. ამ ჯარიმის თანხა ზოგისთვის თვითმფრინავით მგზავრობის ფასია, ზოგისთვის კი — მეწარმეობიდან გაფრენის ტოლფასი“.**

ვერაფერს იტყვი, ზუსტად იმას წერენ, რაც ხელისუფლების დაუდევრობისა და უგულისყურობის გამო მათ თავს ხდება. ერთი პერიოდი, როცა პარლამენტში გოგი თოფაძის პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ შევიდა, მეწარმეებს რაღაც იმედი ჩაესახათ, რომ მათ ჭირვარამზე, საკანონმდებლო ორგანოში რამდენიმე დეპუტატი მაინც იზრუნებდა, მაგრამ სულ ტყუილად. საქართველოზე რა მოგახსენოთ, მაგრამ მათ საკუთარი ბიზნესის გადარჩენაზე კი ნამდვილად იზრუნეს. **„გოგი თოფაძემ, რაც პარლამენტში პირველად გააკეთა — იწერება მეწარმე ალიკო კალაძე, — ის იყო, რომ ლუდის წარმოების ძირითადი ნედლეული — ალაო დამატებული ღირებულების გადასახადისგან გაათავისუფლა, სხვა მეწარმეების გასაჭირი კი დაავიწყდა. ამიტომაც დევალვირდება მისი პარტია, რომელშიც ფაქტობრივად მეწარმე აღარ დარჩა. ნახეთ, ქვეყანაში რამდენი მეწარმეა დაყაჩაღებული, დაჭერილი, ქონებაწართმეული. ერთი სიტყვა არ დაუძრავს თოფაძეს მათ დასაცავად, ბიძინა ივანაშვილზე კი ცეცხლი მოიკიდა პრეზიდენტთან შეხვედრისას. დიდი გმირობა ჰგონია შევარდნაძის კრიტიკა, რომლის დროსაც პარტიაც შექმნა და პარლამენტის წევრიც გახდა. რა დასამალია, სამეწარმეო გარემო ასე დამძიმებული შევარდნაძის დროსაც არ ყოფილა. იმის მაგივრად, რომ ყურადღება ამ მტკივნეულ პრობლემაზე გაამახვილოს, თოფაძე ხან ოლიმპიურად გვეკეკლუცება, ხან პოლიტიკურად. თუ ასეთი მაგარი ბიზნესმენი და პოლიტიკოსია, გვიპასუხოს, მაშ თავის ქარხნებს რატომ ჰყიდის?“**

***ასეა ჩვენში დამკვიდრებული, კანონმდებლები იმას კი არ უყურებენ, როგორი საგადასახადო კოდექსი სჭირდება ქვეყნის ეკონომიკას და მეწარმეთა ინტერესების დაცვას, არამედ იმას, როგორ მოერგება კანონები ხელისუფლებაში მოკალათებულ ბობოლა ჩინოვნიკთა მადას. ამდენად, კოდექსი ახალ-ახალი ცვლილებების შედეგად კი არ უმჯობესდება, პირიქით, უარესდება, სულ უფრო დრაკონული ხდება***

რამდენად სწორია თოფაძის მისამართით გამოთქმული კრიტიკა, ამაზე მეწარმეს პასუხს ალბათ თავად ბატონი გოგი თოფაძე გასცემს („საქართველოს რესპუბლიკა“ საამისოდ ადგილს სიამოვნებით გამოუყოფსძ, ერთი კი ფაქტია, „მრეწველთა“ ამჟამინდელი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში თვითონვე აღიარებს, რომ მან და მისმა პარტიამ პარლამენტში ყოფნის პერიოდში ბიზნესის ხელშეწყობისთვის ბევრი ვერაფერი გააკეთეს. როგორც ის ამბობს, ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, მთავრობის წევრები კი დაარწმუნეს საგადასახადო კოდექსის უვარგისობაში, პარლამენტში ახალი საგადასახადო კოდექსის პირველი მოსმენით გატანაც მოახერხეს, მიღებაც, მაგრამ, სამწუხაროდ, მომდევნო მოწვევის პარლამენტმა ის კოდექსი თაროზე შემოდო და სულ სხვა შინაარსის საგადასახადო კოდექსი მიიღო.

ასეა ჩვენში დამკვიდრებული, კანონმდებლები იმას კი არ უყურებენ, როგორი საგადასახადო კოდექსი სჭირდება ქვეყნის ეკონომიკას და მეწარმეთა ინტერესების დაცვას, არამედ იმას, როგორ მოერგება კანონები ხელისუფლებაში მოკალათებულ ბობოლა ჩინოვნიკთა მადას. ამდენად, კოდექსი ახალ-ახალი ცვლილებების შედეგად კი არ უმჯობესდება, პირიქით, უარესდება, სულ უფრო დრაკონული ხდება. აი ამჯერადაც, მაგალითად, ვითომ სიკეთეს სჩადიან, ღვინისა და ღვინის პროდუქტებს აქციზისგან ათავისუფლებენ, იმ მოტივით, რომ მევენახეებსა და ღვინის მწარმოებლებს სტიმულს მისცემენ, სინამდვილეში კი ხელფეხს უარესად უბორკავენ. საქმე ის გახლავთ, რომ აქციზისგან იმპორტულ ღვინოსაც ათავისუფლებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბაზარი იმპორტული ღვინის პროდუტებით გაჯერდება, ადგილობრივი ღვინისა და ყურძნის რეალიზაცია კი კიდევ უფრო შეიზღუდება.

ამ დროს ხელისუფლება გვარწმუნებს, თავს ვიკლავთ, დღედაღამ ოფლის ღვრაში ვართ, რომ ქვეყანაში მევენახეობა და მეღვინეობა ავაღორძინოთ, გლეხსა და მეწარმეს საკუთარი შრომის შედეგებით ტკბობის გემო ვაგრძნობინოთო. გინდა, ძალიან გინდა დაიჯერო, რომ მთავრობა თვალებში ნაცრის შეყრის პოლიტიკიდან რეალურ საქმეთა კეთებაზე გადავიდა, მაგრამ ხმა რომ ძველებურად „ეხლიჩება?“

კანონში „ვაზისა და ღვინის შესახებ“ არაორაზროვნად არის ჩაწერილი, რომ საქართველოში ყურძნის პროდუქტის შემოტანა, თუ ის პირდაპირი მოხმარებისთვის არ არის გამიზნული, იკრძალება, რათა ადგილობრივ პროდუქციას უკეთური კონკურენცია არ გაუწიოს. კანონში კია ჩაწერილი, მაგრამ ვინ ასრულებს?

როგორც „მრეწველთა“ თავკაცი ზურაბ ტყემალაძე ირწუნება, ეს კანონი ნიადაგ ირღვეოდა და ამჟამადაც ირღვევა. მისი თქმით, ყოველწლიურად საქართველოში 150 ათასი ტონა ყურძნის ეკვივალენტური პროდუქტი შემოდის და აქედან ქართული სახელით გადის. ქვეყანაში შარშან 80 ათასი ტონა ყურძენი დაამზადეს, ის 150 ტონა რომ არ შემოსულიყო, ხომ გაცილებით მეტი ქართული პროდუქტი დამზადდებოდა და გაიყიდებოდა? — კითხულობს ყოფილი პარლამენტარი, რომელსაც თურმე არც ის გაუკვირდება, თუ საზღვარგარეთიდან ასეთი პროდუქციის შემოტანის შეზღუდვა კანონში საერთოდ გაქრება (!ძ.

თქვენი არ მიკვირს, ბატონ ზურაბ! ასეთი რამ პარლამენტში ყოფნის პერიოდში არ გიკვირდათ და ახლა რატომღა გაგიკვირდათ? ჩვენთან ხომ კანონები, როგორც წესი, შესასრულებლად არ იწერება... ამდენად მას გასაქრობი და დასაკარგავიც აღარაფერი აქვს.

**ოთარ ხუციშვილი**

ინფორმაცია

### სად, როდის და ვინ შეხვდება ერთმანეთს გერმანიაში?

**გერმანიის** საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართული და აფხაზური მხრეების შეხვედრის მზადება დაადასტურა. თუმცა, „რია ნოვოსტის“ ცნობით, სამინისტროს წარმომადგენელ იენს პლეტნერს შეხვედრის დრო და ადგილი, ასევე, მონაწილეთა ვინაობა არ დაუზუსტებია.

—საგარეო საქმეთა მინისტრის, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის ინიციატივით, ჩვენი საელჩოებისა და ნდობით აღჭურვილი წარმომადგენლების მუშაობით რეგიონში მიმდინარეობს საკითხის შემუშავება კონფლიქტის ორივე მხარესთან. შეხვედრის გამართვის თარიღი და ადგილი ჯერ კიდევ განიხილება, საჭიროა ყველა მომავალ მონაწილესთან მიმდინარე დღის განრიგის შეთანხმება, — განაცხადა პლეტნერმა.

მისივე თქმით, შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ „არა ყველაზე მაღალი რანგის პირები, თუმცა, არც საშუალო წარმომადგენლები, არამედ ისინი, ვინც გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე“.

პლეტნერმა არ გამორიცხა, რომ ქართულ-აფხაზური შეხვედრა ბერლინში უახლოეს მომავალში გაიმართოს.

გერმანიის საგარეო უწყების წარმომადგენელმა კომენტარი გააკეთა აფხაზეთიდან რუსეთის სარკინიგზო ჯარების გაყვანის თობაზეც და ეს ფაქტი დადებითად შეაფასა.

### პოლისების გადაცემით მეეზოვის დღე აღნიშნეს

**თბილისის** ვიცე-მერის მამუკა ახვლედიანის განცხადებით, დასუფთავების სამსახური ქალაქისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული და საჭიროა.

თავისუფლების მოედანზე დედაქალაქის ვიცე-მერმა მამუკა ახვლედიანმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ზაალ სამადაშვილმა დასუფთავების საქალაქო სამსახურის სისტემაში მომუშავეებს მეეზოვის დღე მიულოცეს და სადაზღვევო პოლისები გადასცეს.

— ეს დღე მესამედ აღინიშნება. დასუფთავების საქალაქო სამსახური 2006 წელს შეიქმნა. იგი ქალაქის განვითარებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული და საჭირო სამსახურია. მისი ჩამოყალიბებით დედაქალაქში ბევრი პრობლემა მოგვარდა, თუმცა ეს საკმარისი არ არის და დასუფთავების საკითხი საჭიროა, უფრო მაღალ დონეზე ავიდეს, — განაცხადა ვიცე-მერმა.

მისივე თქმით, დასუფთავების სამსახური თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი, ყველა ქუჩაზე დგას კონტეინერები და ყველა საცხოვრებელი სახლიდან გააქვთ ნაგავი.

ინტერპრესნიუსი

კრიმინალი

# უსახურ სამსახურს უკანონო ფუნქცია დააკისრეს



***„ვარდებით“ მოსულმა ხელისუფლებამ შსს-ში კადრების არნახული შემცირებასთან ერთად (15 ათასი პოლიციელი) საერთოდ გააუქმა უბნის ინსპექტორის ინსტიტუტი. სამინისტროს მაშინდელ ხელმძღვანელობას მიაჩნდა, რომ ეს იყო კომუნისტური გადმონაშთი. თუმცა არ ითვალისწინებდნენ იმას, რომ „გადმონაშთი“ დიდ დახმარებას უწევდა ოპერატიულ სამსახურებს უბანში არსებული ვითარების გასაანალიზებლად, სამეზობლო, ოჯახური დავების მოსაგვარებლად და სხვა, დღეს ქვეყანაში არსებული უმართავი კრიმინოგენური ვითარება ნაწილობრივ უბნის ინსპექტორის სამსახურის ჯერ გაუქმების, აღდგენის შემდეგ კი მისი უფლება-მოსილების შეზღუდვითაც არის განპირობებული.***

### უბნის ინსპექტორების ახალი ფუნქცია

**შსს-ში მიხვდნენ, რომ უბნის ინსპექტორი ერთ-ერთი აუცილებელი რგოლი იყო და ეს სამსახური აღადგინეს. მაგრამ რა?..** უბნის ინსპექტორს არ აქვს მოკვლევის, გამოძიებაში ჩართვის, ოქმის შედგენისა და ა.შ. უფლებები. მაგრამ, როგორც ირკვევა, რეგიონებში ადგილობრივი ხელმძღვანელები (თბილისში ჯერჯერობით ვერ ბედავენ) დაუსაქმებელ უბნის ინსპექტორებს ბიუჯეტის შევსებას უკანონო გზებით ავალებენ.

პრეზიდენტის გასული წლის 29 ივნისის ბრძანებულებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 153-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ვაჭრობის წესების დარღვევა) ის პუნქტი გაუქმდა, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელს ფასების გამოუცხადებლობაზე. მიუხედავად ამისა, უბნის ინსპექტორები შედიან მაღაზიებში და სწორედ გაუქმებული პუნქტით მეპატრონეებს ჯარიმებს ადებენ, რომელიც 400-დან ზოგჯერ 2 ათას ლარამდე აღწევს. მიზეზი ერთადერთია – საქონელზე ფასი არ არის მიწერილი.

დღეს კანონი ისეთი ბუნდოვანია, რომ საქონელმცოდნეებსაც ვერ გაურკვევიათ, რა არის ვაჭრობის წესების დარღვევა.

### დიდი ჯარიმები

**უბნის ინსპექტორები ყოვლად უკანონოდ, თავიანთი უფლება-მოვალეობის აშკარა გადამეტებით შედიან მაღაზიებში და წერენ საჯარიმო ოქმებს.** რაც ყველაზე საინტერესოა, ამ უკანონობას სასამართლოც აკანონებს.

**ისა აბასოვი (მარნეულის მკვიდრი):** – „უბნის ინსპექტორები აშკარად შარზე არიან. შედიან მაღაზიებში და ყველაფერში დარღვევას ეძებენ. „გამოვლენისთანავე“ მეპატრონეს დიდი თანხით აჯარიმებენ, ფასების არ დაწერასთან ერთად მარნეულელი უბნის ინსპექტორები მაღაზიების მეპატრონეებს სიგარეტისა და სურსათის ერთად გაყიდვისთვისაც ედავებიან. საქონელმცოდნეები აცხადებენ, რომ სიგარეტი პროდუქტის ჩამონათვალში შედის და ამაში ვერავითარ დარღვევას ვერ ხედავენ. თუმცა სასამართლო უყოყმანოდ აკანონებს საჯარიმო ოქმს. მეპატრონეს, რომელსაც მაღაზიაში 1500-2000 ლარის პროდუქტი აქვს და უბნის ინსპექტორი 2-4 ათასი ლარით აჯარიმებს, დახურავს მაღაზიას, აბა რა იქნება! ამიტომაც, მარნეულში ბოლო დროს ბევრი პატარა მაღაზია დაიხურა. ხალხმა გამგებელს, გუბერნატორს მიმართა, მაგრამ უშედეგოდ“.

როგორც ჩანს, გამოცხადებული ბიუჯეტის შესავსებად ხელისუფლებამ უბნის ინსპექტორების სახით საქმეში ახალი სტრუქტურა ჩართო.



***საზოგადოებაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ძვირადღირებული ნარკოტიკების (ჰეროინი, სუბუტექსი) სისტემატური მომხმარებლები ძირითადად ელიტარული წრეების წარმომადგენლები, შეძლებული „ახალი ქართველები“ ან მათი ოჯახის წევრები არიან.***

***არც ისე დიდი ხნის წინათ ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შტაბის უფროსი გიორგი ღუდუშაური დააკავა. მას აღმოაჩნდა 8 გრამი „ჰეროინი“. აწ უკვე ყოფილი შტაბის უფროსს ნარკოტიკების უკანონო შეძენა-რეალიზაცია-მოხმარების ბრალდებით 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ელის.***

# ნარკოტიკები ელიტისთვის

### სიკვდილი შეკვეთით

**დედაქალაქის პოლიციამ დააკავა ნარკოტიკების რეალიზატორთა დიდი ჯგუფი.** დაკავებულები ირაკლი სეხნიაშვილი, ვლადიმერ ჩიგოგიძე, შოთა სუხიაშვილი, ვახტანგ ჩხაიძე, მერაბ გოლეთიანი, გიორგი სვანიძე, ზაზა ხიზანიშვილი, რომან წურწუმია, ირაკლი ჯუღელი, გიორგი ჩიტიაშვილი, დიმიტრი გვასალია, ფრიდონ ჩარკვიანი, დიმიტრი მაღლაკელიძე, გიორგი ბულისკირია, დავით აბულაძე, კახა წიკლაური, ქართლოს კვარაცხელია (სულ 17 პიროვნება) თბილისელები არიან. როგორც ირკვევა, ეჭვმიტანილთა უმრავლესობა ნარკოტიკების სისტემატიური მომხმარებელია. მათი ბინების ჩხრეკისას პოლიციამ დიდი რაოდენობით ნარკოტიკი, ჯავშანჟილეტი და 4 ცალი ცეცხლსასროლი იარაღი იპოვა.

ოპერატიული თანამშრომლების განმარტებით ნარკოდილერებს მუშაობის საინტერესო მეთოდები გააჩნდათ. თბილისელი კლიენტი უკავშირდებოდა ტელეფონით აზერბაიჯანში ნარკობარონს და „წამალზე“ შეკვეთას აძლევდა, რომელიც თავისი შუამავლის მეშვეობით „ჰეროინს“ საქართველოში აგზავნიდა. ამ დროს გადაირიცხებოდა საქართველოდან ნარკობარონისათვის ბანკის მეშვეობით ფული. პროდუქციის ადგილზე მიტანისა და თანხის ანგარიშზე დასმის შემდეგ „ნარკობარიგა“ ასევე ტელეფონის მეშვეობით უკავშირდებოდა კლიენტს და მიუთითებდა იმ საგზაო ნიშანს, სადაც ნარკოტიკი იყო ჩამარხული. ამის შემდეგ საქმეში ერთვებოდნენ 17-კაციანი ჯგუფის წევრები და პროდუქცია შემკვეთამდე მიჰქონდათ. ჩვენმა პოლიციამ შეძლო შუამავლის დადგენა-დაკავებაც. იგი აღმოჩნდა მარნეულელი რამინ ხაჯაევი. აღსანიშნავია, რომ მას არც ერთი დაკავებული არ იცნობდა.

ქართველი სამართალდამცავები აცხადებენ, რომ ისინი ამ ღონისძიებას თითქმის ერთი წელია გეგმავდნენ.

### რა საჭირო იყო ერთი წელი...

**ნარკოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ქართველი ექსპერტი სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ საქართველოში არნახულად მოიმატა ნარკოტიკებთან დაკავშირებულთა რიცხვმა. არაოფიციალური მონაცემებით მათმა რაოდენობამ 500 ათასს მიაღწია.** მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავდა ასაკი, მოთხოვნილებასთან ერთად მოიმატა ფასებმაც. ამის გამო, თვლიან სპეციალისტები, ნარკოტიკების სისტემატიურ მომხმარებლებს არ ხელეწიფებათ „შიმშილის“ დოზის სისტემატიური დაკმაყოფილება. იწყება ფულის შოვნისათვის დაპირისპირებები, „გადაგდება“, „შეწერვა“ და ა.შ. ეს პრობლემა მოხსნილი აქვთ ელიტარებს, შეძლებულებს. ისინი „ხელის ბიჭების“ მეშვეობით მოიპოვებენ მათთვის სასურველს და შემსრულებელს ფეხის ქირის სახით ფულს ან რაღაც დოზით ნარკოტიკს გადაუგდებენ.

სპეციალისტები გაოცებას ვერ მალავენ პრობლემასთან სამართალდამცავების დამოკიდებულების გამო. თუნდაც დასახელებულ შემთხვევაში რა საჭირო იყო ერთწლიანი ოპერაციის მომზადება, რამდენი ადამიანი დაიწამლა, გახდა ნარკოტიკებზე დამოკიდებული. სრულიად უმიზნოდ ქვეყნიდან გავიდა ათეულობით მილიონი დოლარი, ევრო.

**გამოდის, რომ ნარკოტიკების რეალიზატორებსა და გამსაღებლებს ხელისუფლებაში სერიოზული მფარველები ჰყავთ.** ამ შემთხვევაში ალბათ ის მოხდა, რომ რეალიზატორების საქმეები საკმაოდ გაიშიფრა. შემკვეთებმა ისინი უბრალოდ გასწირეს. სამაგიეროდ აუცილებლად გაჭრიდნენ ახალ არხს, მიაჩნიათ ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის სპეციალისტებს.

**ზაზა ბილიხოძე**

## ინფორმაცია

### ოზურგეთში ქურდებმა ერთადერთი სანოტარო ბიურო გაქურდეს

**გუშინ** დილით ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ქალაქ ოზურგეთში სანოტარო ბიურო გაქურდეს.

ამის შესახებ ოზურგეთის ნოტარიუსმა მზია ებრალიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ქურდებმა კომპიუტერი და ქსეროქსი წაიღეს.

განსაკუთრებით მტკივნეულია კომპიუტერის მოპარვა, რადგან მასში ბოლო პერიოდში რაიონში გაფორმებული ყველა ხელშეკრულება, გარიგება, მინდობილობა და სხვა სახის დოკუმენტაცია ინახებოდა, – აღნიშნა ნოტარიუსმა.

ოზურგეთში მხოლოდ ერთი სანოტარო ბიურო ფუნქციონირებდა და მომხდარის გამო მისი საქმიანობა დროებით შეწყვეტილია.

### დაიჭირეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი

**სამართალდამცავემა** განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირი დააკავეს. შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, კახეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულია 31 წლის მიხეილ ძმანაშვილი. გამოძიების ინფორმაციით, ძმანაშვილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე „ტტ“-ს სისტემის პისტოლეტით 59 წლის გოდერძი ჩუთლაშვილი მოკლა, ხოლო მის მეუღლეს, 55 წლის იზოლდა ჩუთლაშვილს მუცლის არეში ორი ჭრილობა და შვილს 38 წლის გოჩა ჩუთლაშვილს ბარძაყის არეში ერთი ჭრილობა მიაყენა.

დაკავებულმა ჩადენილი დანაშაული უკვე აღიარა. სამართალდამცავთა მიერ ამოღებულია მკვლელობის იარაღიც.

### ჯერ თავი ჯაჭვით მიიბა, შემდეგ ვენების გადაჭრით იმუქრება

**ქუთაისში,** შპს „განთიადის“ დირექტორმა სვეტლანა ახალაიამ, საკუთარი მაღაზიის გისოსზე თავი ბოქლომით და ჯაჭვით მიიბა.

ინციდენტის მიზეზი ფალიაშვილის №27-ში მდებარე ფართის გარშემო ატეხილი დავაა, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა გრძელდება.

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე 164 კვ. მეტრის ფართი 2007 წლის 12 დეკემბერს აუქციონის წესით გაიყიდა. მისი კანონიერი მფლობელი ვინმე ჯანანაშვილია, რომელიც ამჟამად ძებნაში იმყოფება, ხოლო მისი წარმომადგენელი გია გოგლიჩიძე შენობიდან მოიჯარეებისა და მათი საქონლის დაუყოვნებლივ გატანას ითხოვს. 5 თვის წინ მაღაზიაში მისულ დირექტორს და მოვაჭრეებს შენობაზე გისოსები დახვდათ, ხოლო მათი ქონება – გისოსებს მიღმა.

სვეტლანა ახალაიამ პოლიციის მეორე განყოფილებიდან მიიღო წერილი, რომლის მიხედვითაც, მან მაღაზია უნდა დაცალოს. იმ შემთხვევაში, თუ პოლიციის თანამშრომლები ძალას გამოიყენებენ იგი ვენების გადაჭრით იმუქრება.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

◎ რობერტ სტურუა – 70

# შენ დროს გაუსწარი



**ჩემო რობიკო!**

ჩვენი თაობის ბედნიერებაა, რომ გვყავხარ და ქართული კულტურით ანცვიფრებ მსოფლიოს. შენ თეატრალური აზროვნების გზით გარდაქმენი ადამიანების წარმოდგენა და დამოკიდებულება მოვლენების მიმართ. ჩემი პირადი ბედნიერება იყო შენთან მუშაობა რუსთაველის თეატრში. მაშინ ყველაფერი შოკის მომგვრელი იყო „ყვარყვარედან" – ოპერა „შუშანიკამდე". ვინც როგორც უნდა ჩათვალოს, შუშანიკის მეორე აქტი, ჩემი აზრით, დრამატურგიული ძაბვით, სულიერების და მშვენიერების შენარჩუნებით შენი შემოქმედების ერთ-ერთი შედევრია.

ახალგაზრდობაში ისე ვცხოვრობდით, რომ შენი ამოდენა დრამები და ტრაგედიები ხშირად საკმაოდ „მსუბუქი ყოვაქცევის" პირობებში იბადებოდნენ.

რაკი ჯანსუღ ჩარკვიანმა მაინც მომნათლა „ბილწინა სკვერნაძედ", გავბედავ და საჯაროდ გავიხსენებ: ერთხელ თეატრში რეპეტიციაზე შევედი „როგორღაც ნასვამი". რობიკოს ცხვირიდან სისხლი წასკდომოდა. უცებ რომ გავერკვიე, ვხედავ, მთელი მსახიობები დარბოდნენ სისხლიანი „ლატოკებით" ხელში. ისედაც მთელი ქვეყანა სტურუაზე ლაპარაკობდა – რა ხდება, მთელ თეატრს „მენ-სტურუაცია" დაგემართათ-მეთქი? ისიც წინა დღეების ნაქეიფარი იყო, ვაჟი შეეძინა და ვერ გადაეწყვიტა, რომელი დიდი ბაბუის სახელი დაერქვათ – ბატონ მიშა კვესელავასი თუ კოლია სტურუასი. მე „ბრძნული" რჩევა მივეცი, არც ერთისთვის არ ეწყენინებინა და ვაჟკაცისათვის „მიკოლა" დაერქმიათ. სიცილი რომ მოვილიეთ, სერიოზული ტრაგედია მერე გაჩაღდა. რიჩარდი მორიგ მკვლელობას გეგმავდა. რობიკოს უშრეტი ფანტაზიის გამო წინა დღესაც კი არავინ იცოდა, როგორი იქნებოდა პრემიერა ხვალ!

ვინ არის რობიკო დღეს, – ჩვენი დროის უდიდესი რეჟისორი? რა თქმა უნდა, მაგრამ მეტიც!

შენ სამყაროს და ცხოვრების დიდი ინტერპრეტატორი ხარ და ისე კითხულობ მას, როგორც ყველა დროის დიდ მოაზროვნეებს შეუძლიათ.

მინდა გითხრა, შენი გავლენა გავრცელდა არა მხოლოდ შენს თანაავტორებზე, მსახიობებსა და აუდიტორიებზე, არამედ, თუნდაც სხვადასხვა დარგების განვითარებაზეც კი! უბრალოდ, იმიტომ, რომ რუტინას მიჩვეული ადამიანი არკვევდა, რომ ყველაფრისადმი მიდგომა შეიძლება უფრო მრავალმხრივად, ღრმად და ტევადად.

შენ გაუსწარი დროს, დროს, რომელიც სამყაროში ყველასათვის ერთნაირად მიედინება. მხოლოდ იშვიათ რჩეულებს შეუძლია ასე.

ძნელია ცოცხალ ადამიანზე თქვა, გენიოსიაო? – იყოს! მე კი ასე ვფიქრობ.

ერთგულებით შენი

**ბიძინა კვერნაძე**

# მორბენლის მარტოობა გრძელ დისტანციაზე



**დიდი თეატრალური რეჟისორის რობერტ სტურუას შესახებ საიუბილეოდ შეთხზულ ოპუსს ალბათ, თეატრით ინსპირირებული, უფრო შთამბეჭდავი ან სიმბოლური სათაური მოუხდებოდა. მაგალითად, შექსპირის ბოლო, სიმბოლისტური პერიოდიდან ნასესხები – „ზამთრის ზღაპარი"; ან კალდერონის ყველაზე ცნობილი პიესით შთაგონებული – „ცხოვრება სიზმარია". შეიძლებოდა უფრო პესიმისტურიც, ნაკარნახევი გვიანდელი ბეკეტით – „თამაშის დასასრული". მოკლედ, მრავალი ცნობილი პიესის გახსენება შეიძლებოდა, რომელიც საიუბილეოდ კარგადაც გაიჟღერებდა და სიმბოლურადაც. გუშინ ხომ რობერტ სტურუას 70 წელი შეუსრულდა.**

და მაინც ალან სილიტოუს ცნობილი რომანის სათაური: „მორბენლის მარტოობა გრძელ დისტანციაზე" ვარჩიეთ. იმიტომ, რომ რუსთაველის თეატრის ესთეტიკის ავტორი ბოლო 40 წლის განმავლობაში, მისი სიმბოლო და უცვლელი „კარაბას-ბარაბასი" (როგორც ხუმრობით უწოდებენ კრიტიკოსებიც და თაყვანისმცემლებიც) – რობერტ სტურუა კარგა ხანია სანიმუშოდ მარტოა „მარათონულ დისტანციაზე". და რადგან წინაპართაგან თითქმის ყველა წავიდა (თითქმის თოთხმეტი წელია, რაც გარდაიცვალა მიხეილ თუმანიშვილი, მისი პედაგოგი და დიდი რეფორმატორი-რეჟისორი), ხოლო „სხვა ხალხის ჟრიამულმა" ჯერ მხოლოდ მაცდური რეფორმა, არაშემოქმედებითი დირექტორობანა და თეატრების პრივატიზებული მიწებივით დანაწილება მოიტანა, გასაგებია, რომ მისი შემოქმედებითი მარტოობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა...

ის ადრე იყო დიდი რეჟისორი – ამბობენ არა მხოლოდ უმწიფარი პოლიტიკოსები, არამედ ზრდასრული, მაგრამ ბოლომდე ვერგანხორციელებული რეჟისორები, ამბიციური, მაგრამ უწიგნური ახალგაზრდა ხელოვანები, კუსტარული სიახლეებით წახალისებული არტ-ისტები, ხარისხიან „ბეტაკამზე" აღზრდილი უხარისხო არტ-კრიტიკოსები. წარმოიდგინეთ ფორმალური თვალსაზრისით ისინი მართლები არიან, რადგან სტურუას ყველაზე დიდი სპექტაკლები – „სეილემის პროცესი", „ყვარყვარე", „კავკასიური ცარცის წრე", რიჩარდ მესამე", „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის" „ამჰერსტის მშვენება" „მეფე ლირი", „მეთორმეტე ღამე", „ქალი-გველი", სამი „ჰამლეტი" (ლონდონში, მოსკოვსა და თბილისში!) მართლაც წარსულში დარჩა. მაგრამ სტურუას თუნდაც ნაკლებად მნიშვნელოვანი, თანამედროვე, სოციალური და მკვეთრად პესიმისტური სპექტაკლები ისევ ყველაზე მნიშვნელოვან არტეფაქტად რჩება ახალგაზრდა თუ ნაკლებად ახალგაზრდა რეჟისორთა მიერ განაყოფიერებულ არტისტულ სივრცეში.

ეს დიდი და შთამბეჭდავი წარსულია. თითქმის 40 წლის განმავლობაში შეთხზული უკიდეგანო ხელოვნების სივრცე, სადაც საზეიმო კარნავალურობა, ტრაგიკული ზეაწეულობა, პოლიტიკური სიმძაფრე და მოვლენისადმი ირონიული დისტანცია ერთმანეთს პოლიფონიურად ავსებდა. ამ მხრივ იგი უნივერსალურია და იტევს ხალხურ, არქეტიპულ მრავალხმიან მუსიკასაც, სულხან-საბა ორბელიანის იგავურ ირონიასაც, ილია ჭავჭავაძის მძაფრ პუბლიცისტურობასაც, გრიგოლ რობაქიძის პოეტურ ვნებასაც და ახმეტელის ტრაგიკულ რომანტიზმსაც...

ამ ყველაფერს კანცელარიულ ენაზე თეატრალური კლასიკის არქივი შეიძლება უწოდო; ადამიანურ ენაზე – ზეიმი, რომელიც მუდამ მაყურებელთანაა, თუნდაც ახირებული პროფესიონალის თვალსაზრისით კი ესაა თამაში ფილოსოფიის, ჯაზის, მათემატიკისა და პოლიტიკის ერთი შეხედვით შეუძლებელ გადაკვეთაზე.

მისი სათქმელი ყოველთვის აქ და ახლა იგულისხმება, ანუ სივრცისა და დროის აქტუალურ გადაკვეთაზე. სტურუას სპექტაკლების ესთეტიკა შექსპირის ან ბრეხტის პიესებში არასოდეს გულისხმობს არც მოდას და არც კლასიკურ სქოლასტიკას. იგი გაცილებით თანამედროვედ და პარადოქსულად აზროვნებს, ვიდრე მოდურ ავტორებს ან ახალგაზრდა რეჟისორებს წარმოუდგენიათ. შექსპირსაც და ბრეხტსაც გამჭვირვალე, მსუყე და თანადროული ირონიით „უსწორდება" – ისევე როგორც ოთარ ჭილაძის ფილოსოფიურ და ირაკლი სამსონაძის აბსურდულ ტექსტებს. კარგი იქნება თუ ვინმე ახალგაზრდა, ნიჭიერი და ამბიციური (თუ ასეთი ბუნებაში არსებობს) აწმყოში გაიმეორებს იმას, რაც ჩვენთვის უკვე დიდი რეჟისორის მიერ შექმნილ დაუვიწყარ თეატრალურ ხატებად იქცა.

ასეთი მეტაფორები უხვად შემორჩა თეატრალთა მეხსიერებას. „კავკასიური ცარცის წრის" ბრწყინვალე კარნავალური სანახაობიდან თუ ლირის დანგრეული სამფო-თეატრის მეტაფორიდან დაწყებული, კანონიკური ტრაგედიის – „ჰამლეტის" მოულოდნელი აბსურდითა და კომედია „მეთორმეტე ღამის" ავბედითი წინასწარმეტყველებით დამთავრებული. და ბოლოს, საიუბილეოდ გავიხსენოთ სახელოვანი რეჟისორის ევროპული წარსული: 1980 წელს, რუსთაველის თეატრის ლონდონში გასტროლებისას „გარდიანმა", აღნიშნა, რომ „რიჩარდ მესამეთი" სტურუამ ინგლისს უჩვენა როგორ უნდა დაიდგას თანამედროვე შექსპირი, ხოლო იმავე ლონდონში, 90-იან წლებში დადგმული „ჰამლეტი" (ალან რიკმანის მონაწილეობით) მეოცე საუკუნის ხუთ საუკეთესო შექსპირულ სპექტაკლს შორის მოხვდა.

**დავით ბუხრიკიძე,**

**ჴი-ეიბ-ენი**

◎ ინფორმაცია თეატრში

## სექტემბერი – დიდი მაესტროს თვე

**ამ კვირაში, რობერტ სტურუას დაბადების 70 წლისთავის დღეებში, ცხადია, ქართულ მასმედიას სიყვარული და პატივისცემა არ დაუკლია დიდი რეჟისორისთვის, მაგრამ, როგორც გუშინ რუსთაველის თეატრში გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადეს, მაესტროს საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი მთავარი ამბები სექტემბერშია მოსალოდნელი.**

**თეატრი 26 სექტემბერს გახსნის საიუბილეო 130-ე სეზონს, ხოლო მეორე დღეს კვირეული დაიწყება სპექტაკლ „სიქსტრით". შემდეგ, ყოველ საღამოს რეჟისორის გენიალური დადგმებით გავიხარებთ, გარდა ამისა, 1 ოქტომბერს დაგეგმილია საზეიმო წარმოდგენა, რომელზეც თეატრის მთელი დასი მუშაობს და თვითონ იუბილარმაც არ იცის, რა სიურპრიზს უმზადებენ, ერთი კია, რომ ეს იქნება ჭეშმარიტი სიყვარულის გამოცხადება სტურუასადმი.**

**იმ დღეებშივე გაიხსნება ფოტოგამოფენა და გამოვა ფოტოალბომი, რომლებიც რეჟისორის შემოქმედების გზას გაგვაცნობს...**

**მაშ, სექტემბერი რობიკოსია, არ ეკუთვნის თუ?**

ხმა გურიიდამ...

# როცა მეფეს სძინავს

## ნახევრად ღია წერილი მიხეილ სააკაშვილს

ბატონო მიხეილ, ამ ქაღალდს გურულ ენაზე გწერ და რეიზა, იცი? ოზურგეთში ბუნებრივი აირის შეყვანა რომ მოგვილოცე, ქალაქის პარკში გაზის ფარსუნკა შენი ხელით აანთე ვითომ ბაქოდან შემოსული აირით და მერე იგი ფარსუნკა ასიოდე მეტროში შლანგით აღმოჩნდა ბალონზე მიერთებული და კიდო ძე რომ დავრჩით უგაზოდ, მაშინ ხომ თქვი, მე გურული ბაბუის ბადიშიც ვარ და ჩემს ძარღვებში გურული სისხლიც ჩქაფუნობს ბჟუჟის წყალივითო, ე, იმიზა გელარიკები გურულად. ძე, ვიცი, გაზეთებს რომ არ კითხულობ, მარა იქნება ვინცხამ წაგიკითხოს აგი წერილი და დასკვნაც გამეიტანო.

ორგანიზებული დანაშაული მოვსპეო, რომ ჩივი ხშირათ, რა მოსპე, თუ ძმა ხარ. თუთხმეტი წელია გურულებს ორგანიზებულად გვძარცავენ და ყოლისფერი რომ წეიღეს და აფერი არ დარჩა, ახლა ეზოების რკინის ჭიშკრებს მიადგენ, უსხნიან ხალხს და გააქვენ ჯართათ ოსმალეთში. ერთი ყაზილარი ამას ვერ იზამს, ჭიშკარი ფიჩქა ხომ არაა. ორგანიზებულად, ჯგუფურად იპარავენ, ჭვირთავენ დიდ მაშინებზე, ცხვირწინ ჩუუვლიან თვალებდაჭუტულ პოლიციელებს და ჰაი გიდი! პოლიცია რეიზაა თვალებდაჭუტული? რეიზა და მაგაში აძლევენ ფარას მეჯართეები!

აგერ, ჩემს სოფელ მერიაში ასამადე ჭიშკარია მოპარული, განცხადებებიც დვანა პოლიციაში, მარა კაციშვილს არ უნდა თვალების გაჭყვერა და ქურდების დაჭერა.

შეიძლება, იმერელი ბაბუისგან გქონდეს გაგონილი – იმერეთს ერთი მეფე ყავდა – სოლომონ პირველი, მართლა კაი ყაძახი. ერთხელ, თურმე, მოდის სოლომონი მთელი ამალით და ხედავს, მინდორში კაცი ჟდანა და ტირის. რა გატირებს ყაძახოო, უკითხავს მეფეს. რაი და, კაი ცხენი მყავდა, აგერ, მინდორში დავაჩაირე პალოზე, საბალახოთ, მეც პაწა წევიძინე, მერე გავაჭყვირე თვალები და ცხენი მუუპარიენო, უთქვია კაცს.

მეფეს უთქვია, შე აბდალავ, ამისთანა ცხენის პატრონს რაფერ დაგეძინაო.

ეჰ, მეფევ, მეგონა, ჩემს მეფეს არ ეძინა, თვარა რა სიკტილი დამაძინებდაო, უპასუხია გაქურდულს.

მეფე ჩამომხტარა ცხენიდან, გლეხიზა თავისი ცხენი უჩუქებია, მერე მანდატურთუხუცესიზა დუუძახია და უთქვამს: ვანოია უბედურო, აგია შენი კაი მუშაობა? მარტო ჩემი ერთგულება არ კმარა, ხალხის ერთგულიც უნდა იყო. ამ კაცის ცხენის ქურდები მეიძიე და დასაჯე, თვარა შენც და ამ რაიონის მთავარ ჩაფარსაც ჩაგაყუდებთ ევროსტანდარტებით აშენებულ საფიჩხიის ციხეშიო. თურმე, შიშით ენა ემბებოდა ვანოიას, მარა დატრუალებულა, რაიონის ჩაფრები დუუხსნია თანამდებობიდან, ქურდი მუუძებნია და სახალხოდ დუუსჯია, აბა!

ასთე იყო აგი, მარა იგი სოლომონ მეფე იყო და მანდატურთუხუცესს არჩევნების ჩატარებას კი არა, დამნაშავეების დაჭირვას და ხალხის ქონების დაცვას ავალებდა.

ერთმა აფხანიკმა მწერალმა მითხრა, შენ ოზურგეთში ძეგლს უნდა გიდგამდენ და ჭიშკარს გაპარავენო? პასუხად სოლომონ მეფის ამბავი მუუყევი და, დიდუუჰ ! აგი როის გეილვიძებსო, იყვირა.

მიში, ძამა, გააჭყვირე თვალები და იმფერ რამეებს დეინახავ, იტყვი, აგი თვალები დამსებოდა და ნეტა არ გამეჭყვირაო.

ადესით და კრიმანჭულით
მწერალი და ჟურნალისტი
**ილია ბარამიძე**

ჭირი დანახული ჯობს



შემაძრწუნა საზოგადოებრივი არხის მიერ 24 ივლისის საღამოს ინფორმაციამ, რომელიც ეხებოდა ცაგერის რაიონის სოფელ ბარდნალაში არსებულ პოეტ ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმის ავარიულ მდგომარეობაში ყოფნას.

აღშფოთებით ვუცქერდი ტელეეკრანზე იქაური „ჩინოვნიკები“ (ხვაგვარად ვერ ვუწოდებ ამ შემთხვევაში იმათ გულცივ გამოსვლებსძ, როგორ იმართლებდნენ თავს, რომ რაიონის ბიუჯეტი სახლის გარემონტების საშუალებას არ იძლევა, რომ თანხა უნდა გამოყოფილიყო და არ გამოყვეს და ათას სხვა მიზეზს.

ასე როგორ გაუცივდათ გული ცაგერის გამგებელს, მის

# გვრცხვენოდეს, ლეჩხუმელებო!

ინტელიგენციას, ბარდნალის მცხოვრებთ, რომ ამ მდგომარეობამდე მიიყვანეს სახლ-მუზეუმი და დროზე არ მიიღეს ზომები? ნუთუ ასე ძნელია იმ თანხის გამოძებნა, რომელიც სახლ-მუზეუმის გასარემონტებლადაა საჭირო? რა, ლუვრია ან ზამთრის სასახლე, რომ ვერ გამოძებნეს თანხა? ბოლოს და ბოლოს, მივმართოთ ყველა ლეჩხუმელს და შევაგროვოთ საჭირო თანხა.

იქნებ არ ესმით ლეჩხუმელებს, ვინ ჰყავდათ ლადო ასათიანის სახით? ნუთუ ასე ექცევიან ლეგენდად ქცეული პიროვნებების ხსოვნას?

ლადო ასათიანი, უნიჭიერესი ქართველი პოეტი, მართლაც რომ ტალანტი იყო, მისი შემოქმედება, რომლის სათავე მამულის სიყვარულია, მოვლენა იყო ქართულ პოეზიაში, მისი მგზნებარე ლექსები ახლაც აღაფრთოვანებს მკითხველს. არა მარტო ლეჩხუმელებისათვის, არამედ მთელი ქართველი ხალხისათვის, ის საამაყო პოეტი გახლდათ. მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა, მან შედევრები დაუტოვა ქართველ ხალხს. მისმა ტალანტმა გაიელვა და პოეზიის ცას კაშკაშა ვარსკვლავად მიეკრა.

ნუთუ ასეთ ყურადღებას უნდა იჩენდეს მშობლიური კუთხის ხალხი მისი ხსოვნის მიმართ? ან სად არიან მწერლები, მათ შორის ლეჩხუმელებიც? კულტურის სამინისტროს და პარლამენტის შესაბამის კომიტეტს ნუთუ არ შეუძლიათ, ყურადღება მიაქციონ ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმს? ან ახლობლები სად არიან? რით გავიმართლებთ თავს მომავალი თაობების წინაშე? ეს საგანგაშოა! საჭიროა საქართველოს საზოგადოება გამოეხმაუროს ამ წერილს.

დაბოლოს უნდა ვთხოვო საზოგადოება „ლეჩხუმის“ ხელმძღვანელს, ბატონ ანზორ ბურჯანაძეს, სასწრაფოდ მოიწვიოს საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომა აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.

**რაფიელ ჩიქოვანი**

ინფორმაცია

### ქარელი ფრანგებმა ოქრუაშვილივით გაათავისუფლეს

31 ივლისს საფრანგეთის სასამართლომ შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ ქარელი პატიმრობიდან გაათავისუფლა.



შეგახსენებთ, რომ 23 ივლისს საფრანგეთის პოლიციამ ძებნილი მიხეილ ქარელი დააკავა. მიხეილ ქარელი საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ 2007 წლის 29 ნოემბრიდან ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნებოდა. ვერსალის სასამართლოს გადაწყვეტილებით ქარელს საექსტრადიციო პატიმრობა შეეფარდა. ყოფილი გუბერნატორი სამართალდამცავებმა 23 სექტემბერს ქვეყნის დატოვების ცდის დროს დააკავეს. იმავე დღეს, საქალაქო სასამართლომ მას წინასწარი აღმკვეთი ღონისძიების სახით ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. მოგვიანებით შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი გირაოს სახით 200 ათას ლარის გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს. ქარელს ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 337-338 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობას გულისხმობს. 2007 წლის 12 ნოემბერს მიხეილ ქარელს აღმკვეთ ღონისძიებად დაწესებული გირაო პატიმრობით შეეცვალა და მის მიმართ პროკურატურამ ძებნა გამოაცხადა.

ჯი-ეიჩ-ენი

სააქციო საზოგადოება
„უნივერმაღი თბილისის“ აქციების საკონტროლო
პაკეტის მფლობელი აქციონერის გადაწყვეტილება
ქ. თბილისი 22 ივლისი, 2008 წ.

სააქციო საზოგადოება „უნივერმაღი თბილისის“ (რეგისტრირებული 30.08.1995 წ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო (რეგისტრაციისძ №203829321, იურიდიული მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი №4ძ აქციების საკონტროლო პაკეტის – 99,754 პროცენტით მფლობელი აქციონერი შპს „მოვატ საქართველო“ (რეგისტრირებული 27.07.2007 წ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო (რეგისტრაციისძ №204535173, იურიდიული მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი №4ძ წარმოდგენილი უჩა გელაშვილის მიერ, თანახმად 18.06.2008 წ. გაცემული მინდობილობისა, იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

1. სს „უნივერმაღი თბილისმა“ შპს „მოვატ საქართველოსა“ და შპს „კაფე თბილისი-5“-თან ერთად დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისი პლაზა“.

2. შპს „თბილისი პლაზას“ კაპიტალში სს „უნივერმაღი თბილისის“ წილი განისაზღვროს 0,9 პროცენტით.

3. სს „უნივერმაღმა თბილისის“ უძრავ-მოძრავი ქონება შეტანილ იქნას შპს „თბილისი პლაზას“ კაპიტალში.

4. დაევალოს სს „უნივერმაღი თბილისის“ დირექტორს, უზრუნველყოს წინამდებარე გადაწყვეტილების შესრულება.

სს „უნივერმაღი თბილისის“
საკონტროლო პაკეტის მფლობელი აქციონერი
შპს „მოვატ საქართველო“
წარმომადგენელი **უჩა გელაშვილი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

განცხადება

შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ დებულებაში (დამტკიცებულია პარტნიორთა 2003 წლის 7 ოქტომბრის №2 კრების ოქმით და გამოქვეყნებულია 21.10.2003 წლის გაზეთ „თბილისში“) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 4.6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქონებრივ დავებზე საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს სადაო საგნის ღირებულების 2 პროცენტს (დ.ღ.გ.-ს ჩათვლითძ, 100 000 ლარის ზევით დავის საგნის შემთხვევაში სადაო საგნის ღირებულების 1,8 პროცენტს(დ.ღ.გ.-ს ჩათვლითძ მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა (დ.ღ.გ.-ს ჩათვლითძ, ხოლო დავებზე, სადაც დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 3500 ლარს – არანაკლებ 200 ლარისა (დ.ღ.გ.-ს ჩათვლითძ.

2. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 4.6[1] მუხლი: „იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ ერთდროულად შემოტანილი საქმეთა რაოდენობა შეადგენს 50 და მეტ საქმეს, საარბიტრაჟო შენატანი განისაზღვრება წინამდებარე შკალის შესაბამისად და შეადგენს:

| № | როცა დავის საგნის ღირებულებაა | შენატანი შეადგენს დავის საგნის ღირებულების |
|---|---|---|
| 1. | 3500 ლარის ჩათვლით | 80 ლარი |
| 2. | 3501 ლარიდან 11500 ლარის ჩათვლით | 100 ლარი + 3500 ლარის ზევით თანხის 2,5 % |
| 4. | 11500 ლარიდან | 300 ლარი + 11 500 ლარის ზევით თანხის 2% |

საარბიტრაჟო შენატანი მოიცავს ასევე დამატებული ღირებულების გადასახადს“.

3. 4.8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა არ უნდა იყოს 300 (სამასიძ ლარზე ნაკლები დ.ღ.გ.-ს ჩათვლით, ხოლო დავებზე, სადაც დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 3500 ლარს – 200 (ორასიძ ლარზე ნაკლები დ.ღ.გ.-ს ჩათვლით, გარდა 4.6[1] მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და არ უნდა აღემატებოდეს 10 000 (ათი ათასიძ ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით“.

4. ეს ცვლილებები ძალაში შედის მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გამოქვეყნებისთანავე.

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# აფხაზეთში ევროპა რუსეთს გაუსწრებს?

**პასუხს ამ კითხვაზე იძლევა გერმანიის მიერ ინიცირებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების სამეტაპიანი გეგმა.** არსებითად ავტორობა ამ გეგმისა ეკუთვნის ბერლინს, რომელსაც განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს მოსკოვთან და მოქმედებს ეგრეთ წოდებული გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის სახელით. ეს დოკუმენტი შეთანხმებულია გაერთიანებ „მეგობრებთანაც“ ევროკავშირში. ევროპაში ითვალისწინებენ იმას, რომ ისინი უფრო მეტად არიან დამოკიდებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. მით უმეტეს, რომ საქართველოს ნატოში შესვლა, რასაც დაბეჯითებით მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატები, უსათუოდ აისახება რუსეთის დიალოგზე მისი ენერგორესურსების მომხმარებლებთან.

გერმანული გეგმის პირველი ეტაპი გათვლილია ერთ წელზე. ამ დროის განმავლობაში ნავარაუდევია დამყარდეს ნდობა სოხუმსა და თბილისს შორის. ელოდებიან, რომ კონფლიქტის მხარეები ხელს მოაწერენ შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ და დაიწყებენ ქართველ ლტოლვილთა დაბრუნების პროცესს მათს წინანდელ საცხოვრებელ ადგილებში აფხაზეთში. მეორე ეტაპი ითვალისწინებს აფხაზეთის ეკონომიკის აღდგენას დონორი ქვეყნების ხარჯზე. მესამე ეტაპზე უნდა განისაზღვროს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი. ამ ღონისძიებათა ერთობლიობა – მათი თანმიმდევრობის მიუხედავად – შეესაბამება შერიგების ლოგიკას: ჯერ დიალოგში ჩაებმებიან მხარეები, შემდეგ განისაზღვრება აფხაზეთის სტატუსი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რუსეთის მხარე განიხილება მოწესრიგების აუცილებელ მონაწილედ, რაც დაადასტურა გერმანიის საგარეო-პოლიტიკური უწყების ლიდერის შტაინმაიერის სტუმრობამ არა მხოლოდ თბილისსა და სოხუმში, არამედ მოსკოვშიც. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეშმაკი იმალება დეტალებში.

მაგალითად, თბილისმა ხელი ჩასჭიდა ლტოლვილების პირველ რიგში დაბრუნებას აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. ამავე დროს ქართველებს იმედი აქვთ რუსი სამშვიდობოების შეცვლისა საერთაშორისო პოლიციური ძალებით. მაგრამ სოხუმში არ ეთანხმებიან არც ერთს და არც მეორეს. მით უმეტეს რუს სამშვიდობოებზე გეგმაში საუბარი არც არის. მოსკოვის 1994 წლის ხელშეკრულება კი ითვალისწინებს ლტოლვილთა დაბრუნებას, უწინარეს ყოვლისა, გალის რაიონში, სადაც ისედაც ქართველები მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ. მხოლოდ თავისი სტატუსის დაზუსტების შემდეგ მიიჩნევენ სოხუმში და ლტოლვილების შემდგომ ეტაპობრივ დაბრუნებას რესპუბლიკის სხვა რაიონებში. ვთქვათ სიმართლე: ძნელად რომ აფხაზები დათანხმდნენ თანაფარდობას, რომელიც აქ იყო ომამდე ქართველებსა და აფხაზებს შორის. დღეს აფხაზეთის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 180 ათას კაცს. ქართველებს კი პრეტენზია აქვთ, რომ იქ უნდა დაბრუნდეს 200 ათასი კაცი. სოხუმის აზრით, უკანასკნელი ციფრი ხელოვნურად არის გადიდებული: მათს ერთ მესამედს ჰქონდა აფხაზეთის ჩაწერა, ანდა უძრავი ქონება, მაგრამ მუდმივად ცხოვრობდნენ აფხაზეთის გარეთ, უფრო ხშირად რუსეთში.

მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. აფხაზეთის „1992-1993 წლების სამამულო ომის“ დროს ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი (ასახელებენ 46 ათას კაცსძ ეხმარებოდა „ფედერალურ ფორმირებებს“. ასეთები, რომლებიც ხშირად შეკრებილი იყვნენ ვადამდე გათავისუფლებული პატიმრების რიცხვიდან, არა იმდენად ებრძოდნენ სეპარატისტებს, რამდენადაც ეწეოდნენ ძარცვას. უდანაშაულო ქართველებიც ხშირად იქცეოდნენ ხოლმე შურისძიების მსხვერპლად თავისი ფორმალური მიკუთვნებით „ოკუპანტებისადმი“. რამდენი თაობა უნდა შეიცვალოს, რომ ყოფილმა მეზობლებმა ერთმანეთისთვის აღარ დაიწყონ ხანჯლების ლესვა? საკმარისი იქნება საერთაშორისო პოლიციელები ერთნაირად „მზიური“ ტემპერამენტის მქონეთა დასაშორიშორებლად? არანაკლებ ცხადია ისიც, რომ „ევროპელები“ ასე თუ ისე წარმოადგენენ თბილისის ინტერესებს, რომელშიც, ქართველთა აზრით, რუსი სამშვიდობოები მხარს უჭერენ სეპარატისტების ხელისუფლებას. ასე რომ, რიცხვების გადაადგილებით პოლიტიკური შედეგი არ შეიცვლება. მით უმეტეს – უკეთესობისკენ. რაც შეეხება ხელშეკრულებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ, აფხაზეთის მხარე მიიჩნევს, რომ მის ხელმოწერას წინ უნდა უძღოდეს ქართული ფორმირებების გამოყვანა კოდორის ხეობის ზედა ნაწილიდან. იმის მიუხედავად, რომ მათი დისლოკაცია ეწინააღმდეგება მოსკოვის ხელშეკრულებას, მათი იქ ყოფნის ადგილი საშუალებას იძლევა მოხდეს სწრაფო შეტევა სოხუმზე, სადამდეც საათ-ნახევარია საჭირო ავტობუსისათვის. ამრიგად, გერმანელთა ინიციატივა მოწმობს საერთაშორისო ძალისხმევის აქტივიზაციას კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. ამას არ შეიძლება არ მიესალმო. მაგრამ კონფლიქტის მხარეები სხვადასხვა აზრის არიან პირველი ღონისძიებების შეფასებაში. მათ ერთმანეთს პოლარულად აშორებს თავიანთი მომავლის ხედვა. არანაკლებ ცხადია ისიც, რომ თბილისსა და სოხუმს შორის მთავარი შუამავალი რჩება მოსკოვი. საქართველოსთან კეთილმეზობლობა, რაც გამორიცხავს მის წევრობას ალიანსში, ტოვებს მეტ შანსს ქვეყნის გაერთიანებისათვის.

სხვა საქმეა, რომ არ შეიძლება ამ პროცესის ფორსირება. მხოლოდ დღეს, 34 წლის შემდეგ კვიპროსზე ეთნოსთა შორის კონფლიქტებდან, ჩნდება პირველი მონახაზები კუნძულის პოლიტიკურ რეინტეგრაციაზე. ძნელია, წინასწარ ივარაუდო დღემდე შეურიგებელთა შერიგების ფორმა. შეიძლება ასეთად იქცეს რუსეთ-ბელორუსიის კავშირის მოდელის ნაირსახეობა, რომელიც ამჯერად გადის გამოცდას. მხედველობაში მივიღოთ ალასანიასა და აგრეთვე სააკაშვილის არააფიშირებული ვიზიტი მოსკოვში. კომპრომისის ქართულ ძიებაზე (საკითხი შეეხებოდა საქართველოსა და აფხაზეთის პრეზიდენტების არაფორმალურ შეხვედრასძ მოსკოვმა უპასუხა იმის დაპირებით, რომ ჩქარა გამოიყვანდა ავტონომიიდან თავის სარკინიგზო სამხედროებს.

მანამდე კი დავარქვათ საგნებს თავისი სახელები: არამეგობრულ მეზობელს უნდა ჰქონდეს გეოგრაფიულად უფრო მცირე პოტენციალი მტრობისათვის. ასეთივეა საერთაშორისო პრაქტიკის აქსიომაც, როგორც სამშვიდობო ინიციატივების წინადადებანი მათ მიერ, ვისაც გამარჯვების მეტი შანსი აქვს.

*თბილისმა ხელი ჩასჭიდა ლტოლვილების პირველ რიგში დაბრუნებას აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. ამავე დროს ქართველებს იმედი აქვთ რუსი სამშვიდობოების შეცვლისა საერთაშორისო პოლიციური ძალებით. მაგრამ სოხუმში არ ეთანხმებიან არც ერთს და არც მეორეს. მით უმეტეს რუს სამშვიდობოებზე გეგმაში საუბარი არც არის*

НЕВСКОЕ ВРЕМЯ

**ბორის პოდოპრიგორა**



**ომი რუსეთსა და საქართველოს შორის შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული, თუ დასავლეთი ერთობლივად მხარს დაუჭერს თბილისს, ქართველი ლიდერები კი მიიღებენ ზომებს დღევანდელი კრიზისის მოწესრიგებისათვის და საფუძველს ჩაუყრიან მომავალი მოლაპარაკების საფუძველს.** ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა ითავოს საერთაშორისო ძალისხმევა სამშვიდობო შედეგების მიღწევისათვის. სასიკვდილო ძალადობის სპირალი მიგვიყვანს ევროპისა და აზიის ქვეყნებში ენერგორესურსების მიწოდების ჩაშლამდე. მოსკოვი თავის მიერ მხარდაჭერილი თვითგამოცხადებული აფხაზეთის მეშვეობით ახდენს ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ გამოწვევას, რასაც ამერიკა იგნორირების გარეშე ვერ დატოვებს.

# უფსკრულის უკან დახევა

რუსეთის პროვოკაციების პასუხად, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს შეუძლია გაფანტოს მტკიცებანი თავისი აფეთქებულობის შესახებ, თუ დაიწყებს მოქმედებას როგორც სახელმწიფო მოღვაწე. მას შეუძლია შეამციროს დაძაბულობა, თუ გასცემს დაპირებას, რომ საქართველო არ გამოიყენებს ძალას აფხაზეთის წინააღმდეგ. მან უნდა შესთავაზოს აფხაზეთის ლიდერებს ერთობლივად იკისრონ ვალდებულებანი ძალის გამოუყენებლობის შესახებ და გახსნან საზღვრისპირა გადასასვლელები მშვიდობიანი მოსახლეობისათვის თავიანთ საზღვარზე. ამავე დროს, მან უნდა განამტკიცოს თავისი წინადადებანი აფხაზეთისათვის „შეუზღუდავი ავტონომიის შესახებ“.

რუსეთმაც უნდა გადადგას ნაბიჯი უკან უფსკრულის ნაპირიდან. ამ მიზნით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მთავარმა ევროპელმა მოკავშირეებმა უნდა აღიარონ, რომ შექმნილი სიტუაცია მეტად საშიშია და მისი იგნორირება არ შეიძლება. მათ შეუძლიათ აშკარად დაგმონ რუსეთის ამასწინანდელი მოქმედება და მოუწოდონ მას შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან სამართლებრივი დამოკიდებულების დამყარების შესახებ. მათ შეუძლიათ დაარწმუნონ რუსეთი, გამოიყვანოს ამას წინათ იქ შეყვანილი „სამშვიდობოების“ დამატებითი ძალები, რომლებსაც შეიარაღებაში შეაქვთ შეტევითი იარაღი. დასავლეთის ქვეყნებმა საჯაროდ უნდა დაადასტურონ, რომ აფხაზეთის აღიარება, მისი ფაქტობრივი ანექსია ან სამხედრო მოქმედებანი წარმოადგენს იმ წითელ ხაზს, რომელიც რუსეთმა არ უნდა გადალახოს.

მათ აგრეთვე უნდა გადადონ ის დამსჯელი სანქციები, რომლებსაც გამოიყენებენ რუსეთის წინააღმდეგ, თუ იგი გადალახავს ამ წითელ ზოლს. მაგალითად, ევროკავშირს შეუძლია შეაჩეროს მოლაპარაკება რუსეთთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის საკითხებზე, გააუქმოს შემსუბუქებული სავიზო რეჟიმი რუსეთისათვის და შემოიღოს სანქციები რუსეთის იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ახდენენ სახსრების ინვესტირებას აფხაზეთში. ნატომაც აშკარად უნდა გამოაცხადოს საქართველოსათვის მხარდაჭერა, შეიტანოს დღის წესრიგში საქართველოს წევრობის მოქმედების საკითხი. ალიანსმა აგრეთვე უნდა დაიწყოს საჰაერო პატრულირება საქართველოს ტერიტორიაზე (როგორც ეს იყო 2002 წელს ლიტვაშიძ. დაბოლოს, რუსეთის სახელმწიფო არ შეიძლება იყოს შუამავალი, როდესაც იგი კონფლიქტის მონაწილეა. თუ მოსკოვი გაჯიუტდება, ამერიკის შეერთებული შტატები უნდა გამოვიდეს „მეგობრების ჯგუფიდან“, რომელშიც რუსეთი ასრულებს შუამავლის როლს, და შექმნას საკონტაქტო ჯგუფი იმ სახელმწიფოების შემადგენლობაში, რომლებიც გამოხატავენ თავიანთ კეთილგანწყობილებას საქართველოსთან ურთიერთობაში. ეს ზომები მნიშვნელოვნად შეამცირებენ კონფლიქტის ესკალაციას. შემდეგ საქართველოს ხელისუფლება და აფხაზეთის წარმომადგენლები უნდა შეეცადონ მიიღონ ღონისძიებათა პაკეტი მომავალი მოლაპარაკებების დინამიკის შესაცვლელად.

მათ უნდა გამოიჩინონ ინიციატივა უფრო ეფექტიანი მოქმედებებისათვის მილიონის მეოთხედი რაოდენობის ადამიანების დაბრუნებისა და დასახლებისათვის, რომლებიც იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები კონფლიქტის შედეგად. სხვა ღონისძიებების გარდა, მათ უნდა შექმნან კომისია კომპენსაციებისა და ქონებრივი პრეტენზიების მოსაწესრიგებლად საერთაშორისო სახსრებით. გაეროს სამოქალაქო პოლიციის განლაგება ხალხის მიერ დატოვებულ გალისა და ოჩამჩირის რაიონებში ასევე ხელს შეუწყობს ადამიანების დაბრუნებას, ვინაიდან უზრუნველყოფილი იქნებიან უსაფრთხოების ზომებით.

სააკაშვილმა უნდა განამტკიცოს დემოკრატია საქართველო-

*რუსეთმაც უნდა გადადგას ნაბიჯი უკან უფსკრულის ნაპირიდან. ამ მიზნით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მთავარმა ევროპელმა მოკავშირეებმა უნდა აღიარონ, რომ შექმნილი სიტუაცია მეტად საშიშია და მისი იგნორირება არ შეიძლება. მათ შეუძლიათ აშკარად დაგმონ რუსეთის ამასწინანდელი მოქმედება და მოუწოდონ მას შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან სამართლებრივი დამოკიდებულების დამყარების შესახებ*

FINANCIAL TIMES

### ◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## პირიდან



ლოში, რომლის რეპუტაციაც შეირყა გასული წლის ნოემბერში დემონსტრაციის მკაცრი დარბევის შედეგად. საბაზრო რეფორმებმაც უნდა აამაღლონ საქართველოს ეკონომიკური მიმზიდველობა და ხელი შეუწყონ მშვიდობის განმტკიცებას. საქართველოს სახელმწიფო გახდა უფრო ეფექტიანი და აყვავებული, მაგრამ ნაკლებად თავისუფალი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სხვა დონორმა ქვეყნებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ დემოკრატიის განმტკიცებაზე და არა უბრალოდ სახელმწიფო მშენებლობაზე. საჭიროა შეთანხმებული მოქმედებანი აფხაზეთის იზოლაციის შემცირებისათვის და მისი გამოყვანისათვის რუსეთის გავლენიდან. საქართველოს შეუძლია ხელი შეუწყოს აფხაზეთის კავშირების განვითარებას მსოფლიოსთან თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნის ხარჯზე საერთაშორისო ადმინისტრაციით, საბაჟო პროცედურების გამარტივებით, აფხაზეთის ნავსადგურებში სავაჭრო გემების შესვლის გამარტივებით, აგრეთვე ნებართვის გაცემით სასაზღვრო კომერციულ გადაზიდვებზე თურქეთის ტრაპზონში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა ჩართოს აფხაზები ფულბრაიტის საერთაშორისო სტიპენდიისა და სხვა გაცვლით პროგრამებში. საჭიროა აგრეთვე მიღწეულ იქნეს სახსრების მეტი მანევრირება „დასავლეთის გზით" ურთიერთობის მოწესრიგებისათვის. მართალია, ამ ზომებს შეუძლიათ შექმნან პოზიტიური ტენდენციები, მაგრამ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი შეუძლებელია მოწესრიგდეს ყოვლისმომცველი სამშვიდობო ხელშეკრულების გარეშე. თუ რუსეთი არის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი არსებული პრობლემისა, იგი უნდა გადაიქცეს მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მისი გადაჭრისათვის. ვიდრე დაიწყებდეს ურთიერთობას რუსეთთან, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა მიიღოს რთული დიპლომატიური ზომები ევროპის ჩასართველად ამ პრობლემების გადაჭრაში. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი შეთანხმდებიან ერთობლივ და ერთიან მიდგომებზე, მათ შეუძლიათ გაგზავნონ მოსკოვში თავისი წარმომადგენელი, რომელიც უჩვენებს მას, რომ საქართველოს სტაბილურობა და სუვერენიტეტი შეესაბამება რუსეთის ინტერესებს. ასეთმა წარმომადგენელმა უნდა ჩამოთვალოს ყველა კონკრეტული ჯილდო და პრივილეგია, რასაც მიიღებს რუსეთი, თუ გამოიყენებს თავის გავლენას აფხაზეთში ხელშეკრულების მისაღწევად.

მაგალითად, ევროკავშირს შეუძლია გააააქტიუროს მოლაპარაკება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ რუსეთთან, აგრეთვე დააჩქაროს ამ ქვეყნის მიღების პროცესს ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრად. ნატოს შეუძლია განაცხადოს, რომ მისი ჯარები არ იქნება გამოყენებული საქართველოს აფხაზეთზე კონტროლის დამყარებისათვის.

შეიძლება გამოყენებული იქნეს 2014 წლის ქალაქ სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშები, რათა მოახდეს მხარეთა მობილიზაცია პრობლემის გადაწყვეტის ურთიერთმისაღები ზომების ძიებაში. მაგრამ თუ რუსეთი უარს იტყვის თანამშრომლობაზე, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის წარმომადგენელმა უნდა განაცხადოს, რომ მსოფლიო გაერთიანება მზად არის იმოქმედოს ერთიანი ფრონტით და რუსეთს მოუწევს პასუხის გაცემა თავისი მოქმედებების გამო. შეიძლება გამოყენებულ იქნეს იძულებითი ზომებიც. კერძოდ, დასავლეთის ქვეყნებს შეუძლიათ წამოაყენონ პირობაც თავიანთი მონაწილეობის შესახებ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში და მოუწოდონ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გააანალიზოს რუსეთის მიერ იმ ნორმების დაცვა, რასაც ითვალისწინებს ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი ქვეყნის ვალდებულებები.

ასეთი არასახარბიელო პერსპექტივების პირისპირ რუსეთი, ალბათ, კეთილგანწყობილებით აირჩევს კურსს თანამშრომლობისათვის. შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რუსეთს, ევროკავშირსა და გაეროს შეეძლებათ მოაწყონ ერთობლივი მოლაპარაკება, რომლის დროსაც საქართველომ და აფხაზეთმა უნდა გამოიმუშაონ და ხელი მოაწერონ კონსტიტუციურ ხელშეკრულებას, უშიშროების გარანტიებს, აგრეთვე თავისი მარშლის გეგმას საქართველოს აღდგენის შესახებ აფხაზეთისათვის განსაკუთრებული პირობებით.

საქართველო მნიშვნელოვანია დასავლეთისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია რუსეთის ჩართვაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებაში. დასავლეთის წარმატება, აგრეთვე მისი უნარი ითანამშრომლოს მოსკოვთან, გავლენას იქონიებს არა მხოლოდ ენერგორესურსების მიღებაზე ევროპისა და აზიის მიერ, იგი ზემოქმედებას იქონიებს რუსეთზეც საერთაშორისო საქმეებში, სადაც სტრატეგიულ თანამშრომლობას ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

**დევიდ ფილიპსი**

---

# საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა" აცხადებს აუქციონს

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ჩამოწერილი და ზენორმატიული მატერიალურ-ტექნიკური ქონება.**

**ქონების რეალიზაცია აუქციონზე განხორციელდება ერთ ლოტად.**

| ლოტი #1 | საქონლის დასახელება | ზომის ერთ. | სავარაუდო რაოდენობა | საწყისი ღირებულება ლარი | ბიჯი ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1.1 | შავი ლითონის, თუჯის დაუმუშავებული შერეული ჯართი | ტონა | 400 | 78800 | 300 |
| 1.2 | სატვირთო მანქანა | ერთ. | 6 | 9000 | |
| | სულ: | | | 87800 | |

გამყიდველი სსიპ სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი **„დელტა"**.

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია:** საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს ლოტის საწყის გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირებისათვის არის 10 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისათვის 20 ლარი, გადახდილი უნდა იქნას სს „საქართველოს ბანკის" ცენტრალურ ფილიალში, ბანკის კოდი 220101502, ანგარიშის №120236700.

მყიდველი ვალდებულია აუქციონზე გამარჯვებულად აღიარებიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და არ დაუბრუნდება ბეს შენატანი. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხდება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 2008 წლის 4 აგვისტოდან 2008 წლის 2 სექტემბრის ჩათვლით, 12 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სსიპ სსსტც „დელტა", ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.

აუქციონი გაიმართება 2008 წლის 3 სექტემბერს 14 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული, ოთახი №1.

აუქციონში მონაწილეობისათვის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

– ბეს შეტანის დამადასტურებელი და აუქციონში მონაწილების მისაღებად შეძენილი ბილეთის საბანკო ქვითრები;

– პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

– ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

– იურიდიული პირი წარადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს სსიპ სსსტც „დელტას" მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილის სტატუსს.

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა:**

აუქციონში გამარჯვებულია ის, ვინც დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

ტელ: 95-28-28.

მის: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.

---

# განცხადება

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექციაძ აცხადებს ღია აუქციონს კოოპერატივ „დიდიჭყონი №1"-ს ს/ნ 235431537 (მდებარე: მარტვილის რ-ნი, სოფ. დიდი ჭყონიძ დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება კოოპერატივ „დიდიჭყონი №1"-ს შემდეგი დასახელების ქონება:**

| № | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
|---|---|---|---|---|
| | | | [illegible] | [illegible] |
| 1 | 3 | 3 | 4 | 5 |
| 1 | [illegible] | 1744.5 კვ.მ | | 30000 |
| 2 | [illegible] | 1 ც | | 15000 |
| 3 | [illegible] | 1 ც | | 400 |
| 4 | [illegible] | 6 ც | | 2500 |
| 5 | [illegible] | 1 ც | | 300 |
| 6 | [illegible] | 2 ც | | 3000 |
| 7 | [illegible] | | | 1500 |
| 8 | [illegible] | 1 ც | | 2500 |
| 9 | [illegible] | 8 კვ.მ | | 300 |
| 10 | [illegible] | 1 ც | | 100 |
| 11 | [illegible] | 100 გრძ.მ | | 1500 |
| 12 | [illegible] | 1 ც | | 220 |
| 13 | [illegible] | 300 გრძ.მ | | 1500 |
| 14 | [illegible] | 164 ძირი | | 1500 |
| 15 | [illegible] | 1 ც | | 300 |
| | [illegible] | | | 61620 |

ქონების საერთო ღირებულებაა: 61620 (სამოცდაერთიათას ექვსასოციძ ლარი.

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტობრივი მისამართია: მარტვილის რ-ნი, სოფ. დიდი ჭყონი.

აუქციონი გაიმართება 2008 წლის 05 სექტემბერს 12 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. მარტვილი, თავისუფლების ქ. №10, ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციაძ მარტვილის ოფისის შენობაში.

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302003000ძ. მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციაძ აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7. ტელ.: 8(293ძ2-07-04; 8(293ძ2-07-06.

საუკუნეთა სიღრმეში

**ეხმაურებიან ჩვენს მიმართვას: ვინ არის, თქვენი აზრით, 100 ყველაზე ღირსებიანი და 100 ყველაზე უღირსებო ქართველი**

# ვინ არიან ღირსებიანი და უღირსებო ქართველები



**ბევრი ვიფიქრე ღირსებიანებზეც და უღირსოებზეც. სხვათა სიებსაც გადავავლე თვალი და ალბერტ აინშტაინი გამახსენდა: ყველაფერი ფარდობითია! ცხადია, ყველა დამეთანხმება: „ღირსებიანი ის ქართველია, რომელმაც საქართველოს სახელი გაუთქვა მთელს მსოფლიოში!" სახელი გაუთქვა? მისი კულტურა გააცნო მსოფლიოს, ან მეცნიერული მიღწევებით გაახარა კაცობრიობა? იქნებ სპორტულ ასპარეზზე მიღწევებით მოიწონა თავი? ალბათ, ღირსებიანი მხოლოდ ის ქართველია, რომელიც საქართველოსთვის დაშვრა და დაიფერფლა, რომელმაც სწორედ საქართველო ათასწლეულების ქარცეცხლს გამოატარა და გადაურჩინა ენა, მამული, სარწმუნოება.**

ასეთი კი დიდი ილია და დავით აღმაშენებელი იყვნენ. ამ რანგის მესამეს კი ვერ ვხედავ...

ღირსებიანები ისინი არიან, რომლებითაც ქართველი ამაყობს (ან ტრაბახობს კიდეც).

უპირველესი ამ მხრივ შოთა რუსთაველია.

ვამაყობთ ვაჟასა და გალაკტიონის პოეტური გენიით, ფიროსმანის ფერწერით, ძველი ხუროთმოძღვრებით და პოლიფონიური ხალხური სიმღერებით.

ვამაყობთ ქართველი მეცნიერებით, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებით.

მაგრამ ყველაფერი, რითაც ვამაყობთ და თავი მოგვაქვს — წარსულია. დღეს დაგვრჩა კი რამე საამაყო?

ვერაფერს ვიტყვი. მხოლოდ ფელინის პუბლიცისტური ფილმი „რომი" მახსენდება, სადაც იტალიელებს თავის მოსაწონად მხოლოდ წარსული ახსენდებათ.

რანი ვართ დღეს? გაუბედურებული „განვითარებადი ქვეყნის" შვილები, რომელთა უმრავლესობა შიმშილით სიკვდილს ებრძვის, სწორედ იმიტომ, რომ ათიოდე მილიარდერი ეშვა.

ქველმოქმედება?

სარაჯიშვილები და ზუბალაშვილები აღარ არიან. დღევანდელი ქველმოქმედება ძირითადად ლატაკთათვის უფასო სასადილოების გახსნით შემოიფარგლა.

ცდილობს ივანიშვილი თავი ქველომოქმედად წარმოგვიდგინოს, მაგრამ საჩხერელების ან აკადემიკოსებისა თუ კულტურის მუშაკთა დაპურება არ უნდა იყოს ჭეშმარიტი ქველმოქმედება. მთავარი მათთვის სამუშაო პირობების შექმნაა.

ამასთან დაკავშირებით ერთი სტატია მახსენდება, რომელიც 1991 წელს ლოს-ანჟელესში ყოფნის დროს წავიკითხე. სტატიის ავტორი წერდა, თუ როგორ დაღუპა ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ჰუმანიტარულმა დახმარებებმა აფრიკის ქვეყნები. აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ, რაც ევროპელმა კოლონიზატორებმა აფრიკის კონტინენტი დატოვეს, მრავალი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა. შექმნის პროცესს კი ძველის ნგრევა და ეკონომიკური გაჭირვება მოჰყვა. საჭირო გახდა მათი შველა და ამერიკისა და ევროპის ქვეყნებმა (მათ შორის საბჭოთა კავშირმაც) ჰუმანური თუ პოლიტიკური მიზნით დახმარების ფრონტი გაშალეს. დახმარების პროგრამა კი ძირითადად აფრიკის ქვეყნების საკვებითა და მედიკამენტებით მომარაგებით გამოიხატებოდა.

გაირკვა, რომ აფრიკის ამ ახლად შექმნილ ქვეყნებში 10 წლის განმავლობაში თითქმის 90 %-ით შემცირდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ნაყოფიერი მიწა უდაბნოდ იკავა. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავდა, ესპანელების მიერ მიტოვებულ რანჩოებზე მუშაობა ჩაკვდა. თუ ადრე ესპანელები ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებდნენ ემუშავათ და პროდუქცია შეექმნათ, კოლონიზატორების წასვლის შემდეგ მოსახლეობა, უფასო პურის მოლოდინში, აქტიურ საქმიანობას ჩამოსცილდა, გაზარმაცდა. ამავე დროს, ჰუმანიტარული დახმარების თითქმის 30 % ადგილობრივი ბელადების ხელში აღმოჩნდა, რომლებმაც ვილები აიშენეს ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე. ამდენად, სწორედ ისინი აღმოჩნდნენ დაინტერესებულნი ჰუმანიტარული დახმარების არსებობით და ალბათ ხელსაც კი უშლიდნენ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას, რათა მათთვის მომგებიანი ეს დახმარება არ შემცირებულიყო.

ჩვენც აფრიკის ქვეყნების „განვითარების" გზას დავადექით და უკვე ნათლად ვხედავთ, თუ როგორ დაგვიცარიელდა სოფელი, დამშეული გლეხი ქალაქს მოადგა და სპეკულაციით თავის გადარჩენას ცდილობს. ქვეყანაში კი დაუმუშავებელი მიწის ტრამალებია და ამ მიტოვებულ მიწას გადამთიელი ეპატრონება.

მეცენატმა თუ ქველმოქმედმა პირველყოვლისა საკუთარი ხალხი უნდა დაასაქმოს, ხელი შეუწყოს მის განათლებას, მისი კულტურის დონის ამაღლებას.

ასეთი ღირსებიანი ქართველი კი თითქმის არ ჩანს.

გამაოცა სტალინის, ბერიასა და თქვენ წარმოიდგინეთ, შევარდნაძისაც კი ზოგიერთის მიერ ღირსებიან ქართველად გამოცხადება.

ჩემთვის კი, ისინი ულირსებონი არიან.

დაგავიწყდათ ოქტომბრის რევოლუციის ქარ-ცეცხლი და შემდგომი რეპრესიები? ოცდაათიანი წლების საშინელებები და კომუნისტების პარპაში? განა ის „მაუზერგადაკიდებული" წითელარმიელი ქართველები ულირსებონი არ იყვნენ?

ნამდვილად, სტალინმა, ბერიამ და შევარდნაძემაც მსოფლიოს საქართველოს არსებობა აცნო, მაგრამ რა გვაქვს სატრაბახო?

მახსოვს, 1976 წელს ტაშკენტში საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა და კონფერენციის მონაწილეები ექსკურსიაზე სამარყანდში ჩაგვიყვანეს. ერთ-ერთ მედრესთან მივედით, სადაც თემურ-ლენგი იყო დამარხული. იქვე პატარა მუზეუმიც იყო, სადაც ახალგაზრდა უზბეკი ქალბატონი დიდის აღფრთოვანებით ჰყვებოდა თემურ ლენგის საგმირო საქმეებზე, თუ როგორ მოკლა თავისი ბიძა და როგორ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება. რა შეუპოვარი და დაუნდობელი იყო ეს კოჭლი მტარვალი ომში.

ერთ ესტამპთან შევჩერდით, სადაც ქალაქის მოედანი იყო წარმოდგენილი. მოედნის ცენტრში თავის ქალებისაგან მოზრდილი ბორცვი აზიდულიყო. ჰყვება ქალბატონი: „თემურ ლენგი, როდესაც ქალაქის ასაღებად მიდიოდა, მის მოსახლეობას წინასწარ აფრთხილებდა: თუ უბრძოლველად არ დამნებდებით, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე 30 ათასი მოჭრილი თავის მთას ავაგებო. ეს ესტამპიც ამისი ილუსტრაცია იყო...

ვერ მოვითმინე და ვუთხარი: „თუ ასეთი სასტიკი იყო თქვენი გმირი, ამ ფაქტს დამალვა სჭირდება. ამ მოჭრილ თავებს შორის რამდენი იყო ბავშვის, მოხუცის, ან თუნდაც უდანაშაულო მოქალაქის თავი?

მტრული მზერა ვიგრძენი ჩემი უზბეკი კოლეგებისგან და შემოტევასაც არაფერი აკლდა.

—რას ამბობ!—შემომიბღვირა ერთ-ერთმა და ჩემსკენ გამოიწია.

— შენ გიყვარს სტალინი? — ვკითხე გაგულისებულს.

— რასაკვირველია!

— მე კი მძულს, რადგან მრავალი უდანაშაულოს სისხლი დაღვარა და მძულს, მით უმეტეს, რადგან ქართველი ვარ.

ერთბაშად დაშოშმინდა და გაოცებული დამშორდა. იქნებ ცემას იმანაც გადამარჩინა, რომ სტუმარი ვიყავი?

დიახ, ის ვინც უზბეკებისთვის უდიდესი გმირი იყო, ჩვენთვის სისხლიანი მტერი, მტარვალი იყო და გავიხსენოთ აინშტაინი: „ყველაფერი ფარდობითია!"

ასეთი მაგალითი მრავალია. მრავალია ღირსებიანიც და უღირსებონიც და ყველაფერს ისევ ისტორია განსჯის, თუ გადავრჩით.

მე კი, უღირსებოთა დასახელებულ სამეულს შადიმან ბარათაშვილს დავუმატებდი. ასეთები კი, სამწუხაროდ, დღესაც ბევრნი არიან.

დაბოლოს, ერთი ისტორია გამახსენდა.

ზუგდიდში ერთ ოჯახში სტუმრად მიგვიწვიეს. კედელზე სტალინის მოზრდილი სურათი ეკიდა. მასპინძელმა თამადამ განსხვავებული სასმისი ასწია და სტალინის სადღეგრძელო შემოგვთავაზა.

ვკითხე:

— რატომ სტალინის? ჩვენ ხომ სამეგრელოში ვართ და იქნებ ბერიას სადღეგრძელო დაგველია?

გადმომხედა, დამაკვირდა და მეკითხება:

— ნამდვილად ბრძანებთ მაგას?

— რასაკვირველია!

— ერთი წუთით!

თქვა და სკამი კედელს მიადგა, ავიდა და სურათი შემოაბრუნა. მეორე მხარეს ბერიას სურათი გამოჩნდა.

— ახლა კი ჩვენ ლავრენტის გაუმარჯოს, — ომახიანად წარმოსთქვა და მოზრდილი სასმისი დაცალა.

მე კი, ჩუმად, ჩემთვის, ილიას სადღეგრძელო შევსვი.

**მერაბ ჯიბლაძე**

**მოდით ერთად შევადგინოთ ეს ნუსხა**
**თქვენ ვის ნახვას ისურვებდით ამ ნუსხაში?**

**სს „თამბაქოს ფაბრიკა ქართლის" გაკოტრების მმართველი აცხადებს საჯარო აუქციონს საწარმოს გაკოტრების მასაში რიცხულ ქონებაზე**

**აუქციონზე გამოტანილია:**

1. ავტომანქანა კამაზი 53212, 1989წ. სახ. № ABQ 857;

2. უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, ენუქიძის ქ. №9. უძრავი ქონების მახასიათებლებია – სარეგისტრაციო ზონა 01 (თბილისი), სექტორი 19 (სამგორი), კვარტალი 22, ნაკვეთი 06/008. მიწის ფართი 9930.00 კვ.მ.; ნაკვეთზე არსებული ნაგებობების საერთო ფართი 12896,56 კვ.მ. უძრავი ქონება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასებულია 754 000 /შვიდას ორმოცდათოთხმეტი ათას/ ლარად.

აუქციონი გაიმართება 2008 წლის 10 აგვისტოს 14 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. წამებულის 65/ა, ბინა 1. ტ. 77-90-53. (იურიდიული ფირმა „მაღლაკელიძე და კომპანიას" ოფისი).

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველებმა აუქციონის დაწყებამდე ყოველდღე შესაძლებელია შემოიტანონ განაცხადი მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. წამებულის 65/ა, ბინა 1. ტ. 77-90-53. (იურიდიული ფირმა „მაღლაკელიძე და კომპანიას" ოფისი), ან გამოგზავნონ ელექტრონული ფოსტით მისამართზე:

tambaqoqartli@posta.ge

**გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა" გამოსაცემად ამზადებს ანთოლოგიათა სამტომეულს: I ტ. ქართული პოეზია XXI საუკუნე, II ტ. ქართული პროზა XXI საუკუნე, III ტ. ქართულად ნათარგმანები XXI საუკუნე, სადაც შევა პოეზიის, პროზისა და თარგმანის მხოლოდ და მხოლოდ XXI საუკუნეში შექმნილი საუკეთესო ნაწარმოებები.**

**ავტორებს ვთხოვთ, წარმოადგინონ ნაწარმოებები 1 ოქტომბრამდე (პროზა და თარგმანი 15 გვერდამდე) (კომპიუტერული ვერსიაძ, პოეზია ერთიდან ხუთ ლექსამდე (ასს სტრიქონამდეძ.**

**გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის" საგამომცემლო საბჭო.**

**მისამართი: მხატვრის ქ.: №4.**

ტელ: 31-70-47; 32-73-62. 899-25-60-14

vajao@mail.ru

**რეკლამა** კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-65-87; 899 32-85-76.

◉ მსხვერპლი

# მგონი, „შეაბეს“



**გორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური ცენტრი „ბასა“, საგურამოში მშენებარე ეროვნული ნაკრების საწვრთნელი ბაზა – ასეთი ტრადიციული მარშრუტით გაეცნო ქართულ საფეხბურთო ინფრასტრუქტურას „ჯვაროსანთა“ თავკაცობის ყველაზე რეალური კანდიდატი ჰექტორ რაულ კუპერი და თბილისიდან გამგზავრების წინ სტერეოტიპული ანდერძი დაგვიტოვა: საბოლოო პასუხს 47 (!) საათში გაახლებთო.**

ისე, კაცმა რომ თქვას, როგორც კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაცია მოწმობს, გადასაწყვეტი თითქმის აღარაფერი ყოფილა – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის დღევანდელ სხდომაზე არგენტინელ სპეციალისტს პირველად ჩააბარებენ ნაკრების საჭეს. შეგახსენებთ, რომ ადრე მის კარიერაში „მალიორკა“, „ვალენსია“, „ინტერი“ და „პარმა“ ფიგურირებდნენ.

დავსძენთ, რომ სფფ აღმასკომის წევრთაგან შემოთავაზებულ კანდიდატურას რამდენიმე მოწინააღმდეგე ჰყავდა ვიცეპრეზიდენტ გრიგოლ ცაავას თამადობით, თუმცა ახალკაცმა ამჯერადაც გაიტანა თავისი.

◉ ჩემპიონთა ლიგა

# სადაც არაფერი გვესაქმება







**მაინც რა არის ეს მოლოდინი: რაც არ უნდა უთანაბრო იყოს ძალები, იმედი მაინც გიკიაფებს გულში – იქნებ სასწაული მოხდეს და წინასწარ განწირულად მიჩნეულმა შენმა „ლიუბიმჩიკებმა“ სასურველ შედეგს მიაღწიონო. უბედურება ის გახლავთ, რომ ასეთი რამ იშვიათობაა საერთოდ და უტოპიას ქართველთა მონაწილეობით – კონკრეტულად.**

ახლა კი მოკლედ სათქმელზე. თბილისის „დინამომ“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო მატჩი საბერძნეთში „პანათინაიკოსთან“ 0:3 წააგო. გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, რომ ასეთ შედეგს ველოდით, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც რაინერ ცობელის გუნდმა წინა ეტაპის საპასუხო შეხვედრა ფარერელ მეთევზეებთან სამარცხვინოდ დათმო.

ვიმედოვნებთ, „თეთრ-ლურჯთა“ მესვეურები გამამართლებელ საბუთად მერებაშვილისა და აკირემის არყოფნას არ მოიყვანენ – მასპინძლებს ხომ ჟილბერტო სილვა და კარაგუნისი აკლდათ.

ასე რომ, ელადელებმა კუთვნილი ადგილი მიგვიჩინეს და კიდევ ერთხელ გვაგრძნობინეს, რომ საქმისადმი ასეთი მიდგომით ქართულ ფეხბურთს ელიტურ საზოგადოებაში არაფერი ესაქმება.

ახლა კი გადაავლეთ თვალი დანარჩენ თამაშებში პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა კლუბების მონაგარს და პარალელი თვითონ გაავლეთ: „ანდერლეხტი“ – ბატე 1:2, „ინტერი“ (ბაქო) – „პარტიზანი“ 1:1, „დროჰედა“ – „დინამო“ (კიევი) 1:2, „რეინჯერსი“ – „კაუნასი“ 0:0, „შერიფი“ – „სპარტა“ 0:1, „ბრანი“ – „ვენტსპილსი“ 1:0, „ტამპერე“ – „პეტრჟალკა“ 1:3, „ოლბორგი“ – „მოდრიცა“ 5:0, „გიოტებორგი“ – „ბაზელი“ 1:1, „ფენერბახჩე“ – მტკ 2:0, „დომჟალე“ – „დინამო“ (ზაგრები) 0:3, „ანორთოსისი“ – „რაპიდი“ 3:0, „ბეითარი“ – „ვისლა“ 2:1.



◉ პეკინი – 2008

**ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ასვლა ყველა სპორტსმენის ოცნებაა, მაგრამ არანაკლები პატივია ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა.**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული ცენტრის ხელმძღვანელი გივი ხაჩიძე თვლის, რომ ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების გულშემატკივრობაც. ამიტომ შიდასაუნივერსიტეტო თამაშები, რომელიც ეს-ეს არის დამთავრდა, გორელმა სტუდენტებმა პეკინის ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრების გამოსვლას მიუძღვნეს.

ტრადიციულ სახეობებთან ერთად, სტუდენტებს არც ქართული ხალხური თამაშობები დავიწყებიათ. ფრენბურთთან, მინიფეხბურთთან, ბადმინტონთან და სხვა სახეობებთან ერთად უნივერსიადის პროგრამაში ჩართეს ლახტი, წრიდან გაყვანა („ძიძგი-ძიძგი“), „მწყემსთა ჭიდილი“, „მხედრის ჩამოგდება“, რომელმაც კიდევ უფრო დაძაბული და საინტერესო გახადა ასპარეზობა.



მინიფეხბურთში, სადაც შეჯიბრების სხვადასხვა ეტაპზე 200-ზე მეტი სპორტსმენი გამოდიოდა, ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ფიზიკური აღზრდისა და ინფორმატიკის სპეციალობის გუნდები – „გორიჯვარი“ და „ქიმერიონი“. „გორიჯვარმა“ იმარჯვა და თამაშების ჩემპიონი გახდა.

ფრენბურთელთა დავაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები ავიდნენ. შემდეგი საფეხურები დაიკავეს ინფორმატიკისა და ფილოლოგიის ფაკულტეტებმა.

ქართული ხალხური თამაშობების სამჭიდში პირველობა არავის დაუთმო სამართალმცოდნეობის მეორე კურსის სტუდენტმა ნიკა ჯაშაშვილმა.

მაგიდის ჩოგბურთში შიდასაუნივესიტეტო თამაშების გამარჯვებული თამუნა ტატიშვილი (ინფორმატიკა. მესამე კურსი) გახდა. დაწყებითი განათლების მეორე კურსის სტუდენტები სოფო ნაკაშიძე და ხატია ხანიშვილი, შესაბამისად, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ. მაგიდის ჩოგბურთში ტოლი არ ჰყავდა ფიზიკური აღზრდის სპეციალობის მეოთხეკურსელს დავით კაბულაშვილს.

ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის პირველკურსელმა თამარ შავლათუაშვილმა გამარჯვება იზეიმა ბადმინტონში, ხოლო ვაჟებში ჩემპიონობა ამავე სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტმა ზურაბ ხომეზურმა მოიპოვა.

სამართალმცოდნეობის მეორე კურსის სტუდენტმა ოთარ ყაყიტაშვილმა მრავალმხრივ სპორტსმენად გაგვაცნო თავი. იგი მესამე ადგილზე გავიდა ბადმინტონსა და მაგიდის ჩოგბურთში, შაშში კი ბადალი არ ჰყავდა

ნია აფხაზიშვილი, ბიზნესისა და მართვის სპეციალობის პირველკურსელი, შეჯიბრების უძლიერესი მოჭადრაკე გახდა, ამავე სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტი, საერთაშორისო დიდოსტატი დავით მაღალაშვილი კი სათავეში ჩაუდგა გორის უნივერსიტეტის მოჭადრაკე ვაჟთა ნაკრებს.



## ოლიმპიური დევიზი: „ერთი მსოფლიო, ერთი ოცნება!“

**ვგულშემატკივრობთ საქართველოს ნაკრებს**

თამაშები დიდი ზეიმით დასრულდა. გამარჯვებულ გუნდებსა და სპორტსმენებს პრიზები და საჩუქრები გადაეცათ. მთავარი პრიზი – გარდამავალი თასი მოიპოვა ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტმა, რომელსაც მიენიჭა „ყველაზე სპორტული ფაკულტეტის“ წოდება. ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ნუგზარ აბრამიშვილი ფასიანი საჩუქრით დააჯილდოვეს. აღინიშნა, რომ რექტორატი ყურადღებასა და ძალისხმევას არ აკლებს სპორტის მასობრიობის, სტუდენტ-ახალგაზრდებს შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების საშვილიშვილო საქმეს. საუნივერსიტეტო თამაშებიც ამის დასტური იყო.

უნივერსიადა დამთავრდა, უნივერსიადა გრძელდება. შემოდგომაზე გამარჯვებული სპორტსმენები მოაწყობენ ტურისტულ ლაშქრობას მარშრუტით – ატენის ხეობა-ჯამჯამას მთა-გუჯარეთი (ბორჯომის რაიონი)-მიტარბი-ბაკურიანი. წლეულს სრულდება ამ მარშრუტის პირველი გაკვალვის 50 წელი და როგორც ამ ნახევარი საუკუნის წინათ, ახლაც მთებისა და ხეობების ძნელად სავალ ბილიკებზე გორელ სტუდენტებს წარუძღვება საქართველოში ფიზკულტურული მოძრაობის დაუღალავი მოამაგე და მოღვაწე 80 წლის გივი ხაჩიძე.

**გურამ ვაშაკიძე,**

**სურათებზე: გამარჯვებული გუნდების დაჯილდოება.**

◉ კალათბურთი

# სკანდინავიური ხაფანგი



**საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა (მწვრთნელი მიხეილ კობეშავიძე) წარუმატებლად დაასრულა გამოსვლა უნგრეთის ქალაქ დებრეცენში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონის პირველ ეტაპზე.**

მართალია, ჭაბუკმა „ჯვაროსნებმა“ მასპინძელთა და სლოვაკთა დამარცხება მოახერხეს, მაგრამ მათთვის დაუძლეველი წინაღობა აღმართეს დანიისა და ფინეთის გუნდებმა, ამ წაგებებმა კი ჩვენებურებს ელიტაში აღსაზევებლად ბრძოლის გაგრძელების შანსი მოუსპო.

**„დ“ ჯგუფიდან მეორე რაუნდში სლოვაკი და დანიელი კალათბურთელები ითამაშებენ.**

◉ ინტერნეტიდან

## პეკინის დიდი შემოსავალი





**დაახლოებით 2 მილიარდ დოლარს გამოიმუშავებს პეკინი ოლიმპიურ თამაშებზე 8-დან 24 აგვისტომდე. – ასეთია პეკინის ოლიმპიური ასოციაციის ეკონომიკური გამოანგარიშება.**

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ოლიმპიადა ქალაქს აძლევს აქტიური ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობას.

ექსპერტების თქმით, პეკინს პირდაპირ ოლიმპიურ მოგებას მოუტანს პირველ რიგში თამაშის სპონსორების შენატანები, აგრეთვე რეკლამა, ბილეთების და თამაშების ტრანსლაციის უფლების გაყიდვის შემოსავალი.

## რუნი „ევერტონს“ დაუბრუნდება?

**ალბათ, გაგიკვირდებათ, თავად „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელის უეინ რუნის ნაცვლად მისი „კუზინას“ (ბიძაშვილის) ფოტოს რომ ვბეჭდავთ. სწორედ მან, ნატალი რუნიმ ერთხელ კიდევ გააოცა ბრიტანული საზოგადოება. ის ხომ მრავალგზის აცხადებდა, რომ ვერ უპატიებია უეინისთვის „ევერტონიდან“ წამოსვლა, რომლის აღზრდილი ის იყო. ლამაზმანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მკერდით გადაეფარა საყვარელ გუნდს.**

ბიძაშვილთან მისი სატრფოს კოლინ მაკლაფლინის დაბადების დღეს წაკიდებულმა ნატალიმ მოაწყო ფოტოგამოფენა, რომელიც მოგვითხრობს, თუ რამდენად წაგებული დარჩა ინგლისის ნაკრების ფორვარდი „წითელ ეშმაკებთან“ გადასვლით.





ლამაზმანი, მკერდის პლასტიკური ოპერაცია რომ გაიკეთა, პოპულარული მოდელი გახდა და საკუთარი ვებ-საიტიც „დაითრია“, ეს ფოტოც იქ გამოაქვეყნა.

პიროვნება

# გზები, რომელთაც ვირჩევთ

**შესაძლოა, ეს ცხოვრებისეული ზიგზაგებია, ვისთვის გაკვალული და თელილი, ვისთვის კიდევ ყამირგზა, მაგრამ ასეა თუ ისე, ვლადიმერ (ლადო!ძ ბარბაქაძეს თავის სამშობლოში უფრო ნაკლებად იცნობენ, ვიდრე უცხოეთში.**

ახლა ზოგიერთ მის რეგალიასაც დავხედოთ: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი განათლების სამინისტროს პრემიის ლაურეატი, რუსეთის არქიტექტურისა და მშენებლობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (დიპლომის №006ძ რუსეთის ტრანსპორტის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და სხვ. 2006 წლიდან ლადო ბარბაქაძე ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია. სულ ახლახან კი მას საქართველოს საინჟინრო აკადემიის დამადასტურებელი წიგნაკი გადასცეს. ლადო ბარბაქაძე 20-ზე მეტი მონოგრაფიის – წიგნების, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო სახელმძღვანელოების ავტორია, აქვს 37 გამოგონება, სამი პატენტი (მათ შორის, ერთი, აშშ-შიძ და სხვ.

...იდგა ყმაწვილი თბილისის რკინიგზის ვაგზლის მოედანზე და ფიქრობდა, საით წასულიყო, რომელი უმაღლესი სასწავლებლის გზა აერჩია. ჯიბეში ცოტაოდენი ფული ედო, სახლიდან, ხაშურიდან რომ გამოატანეს და მთავარი, ვერვისგან ანაწონები სიმდიდრე, 17 წლის ასაკში რომ უკვე დააგროვა – საშუალო სკოლის ოქროს მედალი.

საით წავიდეს, სად სჯობს სწავლა?

მამა, შალვა ბარბაქაძე, რკინიგზაზე მსახურობდა და შვილსაც ბევრი არ უყოყმანია: ავტობუსში ჩაჯდა და თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტს მიაკითხა.

ასე გადაიშალა ლადო ბარბაქაძის დიდი ცხოვრების თავფურცელი.

საპროექტო ინსტიტუტი „სოიუზპროექტი“ ახალგაზრდა სპეციალისტის საინჟინრო განათლების ერთგვარი გამოსაცდელი პოლიგონი გახდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ აქ მან ორი წელი დაჰყო და შემდეგ კვლავ „ასაფრენ ბილიკზე“ გადავიდა: წარმატებით ჩააბარა გამოცდები მოსკოვის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტის ასპირანტურაში და ვიდრე სრულ კურსს დაამთავრებდა, დრეზდენის რკინიგზის უნივერსიტეტის სამშენებლო მექანიკის კათედრაზე ერთწლიანი სტაჟირების გავლაც მოასწრო.

– უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, – იგონებს მეცნიერი. – რამდენიმე ექსპერიმენტს ვახორციელებდით, რომელიც ჩემს სამომავლო საკანდიდატო დისერტაციასაც უკავშირდებოდა. საქმეს სიბეჯითეს და გულმოდგინებას არ ვაკლებდი. უნივერსიტეტში დილაუთენია მივდიოდი და ველოდებოდი, როდის გაალებდნენ, რომ ჩემი ცდებისთვის თვალი მიმედევნებინა. ერთხელაც მეუბნებიან, რექტორი გიბარებსო. ცოტათი შევცბი: მთელი ევროპის ასპირანტები აქ ტრიალებენ და რაღა მე მიბარებს-მეთქი. მივედი.

– ადრე გყვარებიათ მოსვლა, – მითხრა რექტორმა. – ორი გასაღები მაქვს. ერთს თქვენ მოგცემთ. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მოხვიდეთ და იმუშაოთ.

მესიამოვნა ნდობა. მადლობის მეტი რა მეთქმოდა!

ერთი წლის შემდეგ იგი მოსკოვში დაბრუნდა და 1969 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. ამის შემდეგ ცოტა ხანს „მოსტოტრიადი №3“-ში იმუშავა მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე და კვლავ თავის ინსტიტუტს დაუბრუნდა. სამშენებლო კონსტრუქციების კათედრაზე თავის მასწავლებელთან პროფე-




სორ სერგეი დავიდოვთან ასისტენტად დაიწყო მუშაობა.

ვლადიმერ ბარბაქაძის, როგორც მეცნიერის გზა, ამ ინსტიტუტთანაა დაკავშირებული. უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერმუშაკი, ასპირანტი, დოცენტი, პროფესორი (სადოქტორო დისერტაცია 1992 წელს დაიცვაძ და ლექციები სხვადასხვა დისციპლინაში – მიწისქვეშა, მეტალისა და ხის კონსტრუქციები, ნაგებობებისა და კონსტრუქციების გამოცდა, მოდელირების თეორია. ვლადიმერ ბარბაქაძის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა მოსკოვის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტში საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად დასრულდა.

ამასობაში ჩვენი ინსტიტუტის დიდ სამეცნიერო საბჭოზე არჩევნები ჩატარდა და მე კვლავ ამირჩიეს პროფესორად. – იგონებს მეცნიერი, – დავრჩი მოსკოვში და ჩამოვაყალიბე ფირმა „დელტა“, რომელიც სამეცნიერო და კომერციულ საქმიანობას ეწეოდა. რუსეთის დედაქალაქში ფირმები და კლუბები სოკოებივით მრავლდებოდა. ერთ ასეთ კლუბში, რომელსაც „ამერიკის მეგობართა კლუბი“ ერქვა, მეც გავწევრიანდი. საინტერესო ღონისძიებებს ატარებდნენ აქ. ერთხელაც მონაწილეობა მივიღე ლატარიის გათამაშებაში – „ერთი თვე ამერიკაში“ – ბილეთი გავხსენი და თვალებს არ დავუჯერე – ამერიკა!!!

იქ ჩასვლისთანავე ლადო ბარბაქაძემ, პირველ ყოვლისა, თავის კოლეგებს მიაკითხა. ქართველ მეცნიერს ამერიკაში უკვე იცნობდნენ და მზად იყვნენ მასთან სამეცნიერო ურთიერთობების გასაღრმავებლად. აქ თავისი როლი ითამაშა ცნობილ იაპონელ მეცნიერთან ს. მურაკამასთან ერთად მოსკოვში გამოცემულმა წიგნმა „სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაგებობების გაანგარიშება და დაპროექტება დეფორმირების გარემოში“, რომელიც გამოსვლისთანავე საპროექტო და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში სამაგიდო წიგნად იქცა.

კიდევ უფრო დიდი რეზონანსი გამოიწვია ამერიკაში, ბოსტონში, და სტამბოლში წიგნმა „კონსტრუქციებისა და ნაგებობების ხანგრძლივობა და საიმედოობა“. მასში განხილულია სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშებისა და დაპროექტების თეორია დეფორმირებულ გარემოში კუთხური ამონაჭერის გათვალისწინებით, ასევე რკინაბეტონის კონსტრუქციების მოდელირების თეორიასა და პრაქტიკის საკითხები. ამ შრომას, სპეციალისტების საერთო აღიარებით, სამშენებლო კონსტრუქციების სფეროში ანალოგი არ გააჩნია.

შტატებიდან დაბრუნებულ მეცნიერს მოსკოვში უსიამოვნება ელოდა. მშობლიურ ინსტიტუტში „ახარეს“ – შტატების შემცირებაში მოგაყოლესო. გაოცებას ვერ მალავდა ლადო ბარბაქაძე – დიდი სამეცნიერო საბჭოს მიერ არჩეულ პროფესორს მის მიმართ გატარებული ასეთი რეპრესიული ზომები უკანონოდ მიაჩნდა.

მეცნიერმა ღირსეულად გადაიტანა შეურაცხყოფა და დამცირება – მიჩვეული იყო ცხოვრების ჩარხის



ბედუკუღმა ტრიალს. ინსტიტუტის ხელმძღვანელობისადმი გამოსამშვიდობებელ წერილში ქართული მიმტევებლური ზნეობრივი კოდექსის ერთგულმა ყველას შეუნდო და აპატია. იგი მადლობას იხდიდა იმისათვის, რაც მას რუსეთმა, მოსკოვმა, რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტმა მისცა. კაცმა რომ თქვას, არც ლადო ბარბაქაძე დარჩენილა ვალში: ლამის საუკუნის მესამედი დაუღალავად და ერთგულად იღვაწა რკინიგზელთა კადრების სწავლა-აღზრდისთვის. მადლიერებით იგონებდა იქ გატარებულ წლებს, მაგრამ არც ის დავიწყებია, წლების მანძილზე როგორ წნეხშიც ჰყავდათ მოქცეული.

ასე დასრულდა ქართველი მეცნიერისა და მოსკოვის რკინიგზელთა ინსტიტუტის „ხავერდოვანი გაყრა“.

1997 წლიდან ლადო ბარბაქაძე ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ეს საქმიანობა რომ ფრიად ნაყოფიერია, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრად მისი არჩევაც ადასტურებს. დიდი დათვის თანავარსკვლავედში ერთ-ერთ ვარსკვლავს აკადემიკოს ვლადიმერ ბარბაქაძის სახელი რომ ჰქვია, – ესეც მსოფლიო მეცნიერების წინაშე მისი დამსახურების აღიარებაა.

ლადო ბარბაქაძის ცხოვრების ცაზე ერთი კაშკაშა ვარსკვლავი კიდევ უფრო ადრე ამობრწყინდა: იგი ახალგაზრდა რუსი ეკონომისტი სიმპათიური სვეტლანა ისაიკინაა. მან ქართველი მეცნიერის ოჯახში უშველებელი სითბო, სიმყუდროვე და სიხარული შემოიტანა და ბარბაქაძეების ცხოვრების ხეზე ზედიზედ სამი ახალი სიცოცხლე გამოიკვირტა – ეკატერინე, დენიელი და მირიანი.

ლადოს კიდევ ერთი შვილი ჰყავს პირველი მეუღლისგან – მარია ბარბაქაძე. იგი ი. სტალინის ვაჟიშვილის – ვასილ ჯუღაშვილის შვილიშვილია, რომელიც ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს.

ახლა ჩვენ მანქანაში ვზივართ და „ზემელზე“ მივიჩქარით. ერთ-ერთ მაღაზიაში ნაბოლარა ეკატერინესთვის „პამპერსები“ უნდა ვიყიდოთ. ხინკლის სახლიც ხომ იქვეა...

**გურამ ვაშაკიძე**

ინფორმაცია

## იმერეთში ეკლესია-მონასტრების აღდგენა მიმდინარეობს

**საჯეთის მაცხოვრის ეკლესიაში, დურევის, ნავარძეთისა და კორბოულის ეკლესიებში მასშტაბური სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს.**

**სამუშაოები ზემო იმერეთის ძეგლთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, კულტურის სამინისტროსა და „ქართუ ჯგუფის“ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის თანადაფინანსებით მიმდინარეობს.**

**როგორც კულტურის სამინისტროდან იტყობინებიან, უკვე აღდგენილია კაცხის სვეტი, კონსერვაცია ჩაუტარდა ძორეთის მაცხოვრის ეკლესიის უნიკალურ მხატვრობასა და XVI საუკუნის ივანწმინდის ეკლესიას.**

**ამასთან, მე-6 საუკუნის კაცხის სვეტის რეაბილიტაციისას აღმოჩენილია უნიკალური წარწერა. 40-მეტრიან კირქვის სვეტისებრი კლდის ბაქანზე ორი მცირე ზომის ეკლესიაა შემორჩენილი. ცნობილი არ არის, როდის შეწყდა რელიგიური ცხოვრება კაცხის სვეტზე, მაგრამ ისტორიული წყაროების მიხედვით, ბერები ამ ტერიტორიაზე ვახუშტი ბატონიშვილის დროს აღარ მოღვაწეობდნენ.**

**ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიტოვებულ სვეტზე დამონტაჟებულია კიბე, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია ასვლა.**

**კაცხის სვეტს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი ესტუმრა.**

## ახალი გზებით ვიმგზავრებთ

**სოფელ კვირიკეში 2,5 კმ სიგრძის გზის მშენებლობა დაიწყო.**

**როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროდან იტყობინებიან, მშენებლობის დაწყებამდე ორი კვირის განმავლობაში მოსამზადებელი სამუშაოები, არხების გაყვანა განხორციელდა.**

**სამუშაოები, რომელსაც შპს „გზა“ ახორციელებს, ერთ კვირაში დასრულდება. გაკეთდება 6 სანტიმეტრი სიმაღლის ასფალტ-ბეტონის საფარი.**

**წლის ბოლომდე ქობულეთსა და ხელვაჩაურში 70 კილომეტრამდე გზის საფარის რეაბილიტაციაა დაგეგმილი.**

**ინტერპრესნიუსი**

ჯანდაცვა

# სახელმწიფომ უნდა გაზარდოს ფსიქიატრიული პროგრამის პაკეტის ღირებულება

**ორგანიზაცია „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფოს, გაზარდოს ფსიქიატრიული პროგრამის პაკეტის ღირებულება, გათვალისწინებული იქნას ჰოსპიტალური მომსახურების ნაწილში ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობის ხარჯები, 40%-ით გაიზარდოს ამბულატორიული და სარეაბილიტაციო კომპონენტის დაფინანსება, გაფართოვდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა და შეიქმნას პრევენციული და ადრეული ჩარევის პროგრამები.**

ორგანიზაციის მონაცემებით, ღარიბი ქვეყნები ჯანდაცვაზე მთლიანი ბიუჯეტის ყველაზე დაბალ პროცენტს ხარჯავენ. ორგანიზაციის კვლევის შედეგების მიხედვით, ამ კუთხით, საქართველოს მაჩვენებელი ძალიან დაბალია და 2007 წლისთვის 3.3%-ს აღწევს.

ორგანიზაციის მონაცემებით, ფსიქიატრიის სახელმწიფო პროგრამის წილი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ბიუჯეტთან შედარებით 4.1%-ს შეადგენს (2007 წ). ფსიქიატრიული დახმარების დაფინანსება, როგორც მთლიანი ეროვნული ჯანდაცვის დანახარჯის წილი, ყველაზე მაღალი 2001 წელს იყო (0.7%). ფსიქიატრიული დახმარების დაფინანსება 1 სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით (მიმდინარე ფასებში) 2006 წელს 1.04 ლარს (0.59 დოლარს) შეადგენდა, ხოლო 2007 წელს ერთი მოქალაქის ფსიქიატრიულ მომსახურებაზე საბიუჯეტო დანახარჯი დაახლოებით 1.7 ლარს (დაახლ. 1 აშშ დოლარი) შეადგენდა.

„ფსიქიატრიული მომსახურებისთვის გამოყოფილი თანხების ზრდის მიუხედავად, ეს მაჩვენებელი ამის შემდეგ განუხრელად იკლებს: 2003 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენს 0.80, 2004 წ – 0.75, ხოლო 2005 და 2006 წელს – 0.73 ლარს. ეს მონაცემები საგანგაშოა, რადგან გვამცნობს, რომ, ფაქტობრივად, მოსახლეობას მიეწოდება უფრო ნაკლები მომსახურება, ვიდრე 2002 წელს. 2008 წლის ფსიქიატრიული სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტის 28.7% გათვალისწინებულია ამბულატორიულ მკურნალობაზე, 70.5% ჰოსპიტალურ დახმარებაზე, 0.8% კი – ბავშვთა და მოზრდილთა რეაბილიტაციაზე. პრევენციულ ღონისძიებებზე და ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერაზე ბიუჯეტში თანხა არ არის გათვალისწინებული“, – აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში მკვლევარი, ფსიქიატრი ნანა ზავრადაშვილი.

ექსპერტთა გათვლებით, დაბალი შემოსავლების ქვეყნებისთვის ერთ სულ მოსახლეზე ბაზისური ფსიქიატრიული პაკეტით უზრუნველყოფის ხარჯი 1.85 – 2.60 აშშ დოლარს შეადგენს. ინფლაციის ინდექსის გათვალისწინებით, ფსიქიატრიული დახმარების დაფინანსება 1 სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით ყველაზე მაღალი 2002 წელს იყო 0.91 ლარი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ◉ ინფორმაცია

### იპოვეს გეოლოგის ცხედარი

დაკარგული გეოლოგი გურამ ბუაჩიძე 13- დღიანი ძებნის შემდეგ გარდაცვლილი იპოვნეს.

ცხედარი მარტვილის რაიონის სოფელ ბალდასკლდის ძირში ნახეს. გურამ ბუაჩიძე, სავარაუდოდ, დიდი სიმაღლიდან გადავარდა. ცხედარი ადგილობრივმა მეთევზემ იპოვნა.

ბუაჩიძე რეგიონში გეოლოგების ჯგუფთან ერთად იყო ჩასული, მათ წყლის სინჯები უნდა აეღოთ.

ინტერპრესნიუსი

### ავტოკატასტროფაში პატრული დაიღუპა

საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი ავტოავარიაში მოყვა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა შოთა ხიზანიშვილმა განაცხადა, შემთხვევის შედეგად პატრულის თანამშრომელი, 29 წლის იასონ ურუმბეგაშვილი გარდაიცვალა.

ავტოსაგზაო შემთხვევა 30 ივლისს დღის მეორე ნახევარში მოხდა. თბილისის აეროპორტთან ეკიპაჟს ტრაილერი დაეჯახა. შემთხვევის დროს საპატრულო პოლიციის მანქანაში გარდაცვლილის მეწყვილე და პარკირების წესების დარღვევის გამო დაკავებული ერთ-ერთი პირი იჯდა. ორივე მათგანმა სხეულის დაზიანებები მიიღო, თუმცა მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ტრაილერის მძღოლი დაკავებულია. მიმდინარეობს გამოძიება.

ჯი-ეიჩ-ენი

სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ რიგგარეშე აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგი:

1. სს „სახალხო ბანკის“ აქციების ემისიის შესახებ;

2. სს „სახალხო ბანკის“ საწესდებო კაპიტალის შესახებ;

3. სს „სახალხო ბანკის“ წესდების შესახებ.

კრება გაიმართება 2008 წლის 20 აგვისტოს 15 სთ-ზე სათაო ბანკის ოფისში ქ. თბილისი ილ. ჭავჭავაძის გამზ. №74, საკონფერენციო დარბაზში მე-6 სართულზე.

სააღრიცხვო თარიღად განისაზღვრა 2008 წლის 17 ივლისი.

ბანკის აქციონერებს საკუთარი უფლებამოსილების შემოწმება შეუძლიათ შპს „კაპიტალ-რეგისტრში“ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან მდებარე ქ. თბილისის ილ. ჭავჭავაძის გამზ. №55, ტელეფონი 23-03-84.

დირექტორატი

## მეგობრის ხსოვნას

# ანზორ ზამბახიძე



აი, დიდად სამწუხარო ამბავი ჩვენი საძმოსთვის, მეტადრე უფროსი ასაკის ჟურნალისტთა ამქრისთვის – გარდაიცვალა დამსახურებული ჟურნალისტი, მზიურ აჭარაში მოღვაწე ნიჭიერი კაცი, „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტი აჭარაში, აჭარის ტელევიზიის ერთ-ერთი დამაარსებელი ანზორ ზამბახიძე.

ჩვენს ძვირფას ანზორს, მის ნაკალმარს დიდ პატივს სცემდა ქართული შემოქმედებითი ინტელიგენცია თუ უბრალო მკითხველი, რომლის ჭირ-ვარამი ყოველთვის ანზორის საგაზეთო სტატიის თუ ტელეგადაცემის მთავარი თემა იყო.

იგი, როგორც აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე პიროვნება, გულგრილი ვერ იქნებოდა ბოლო დროს აჭარაში დატრიალებული ამბების გამო და, შეიძლება ითქვას, ერთხანს თბილისსაც კი აფარებდა თავს, მაგრამ დღეს მისი ეს პოზიცია საქვეყნოდ დასაფასებელი გახდა და ანზორიც სამშობლოს, ცოლ-შვილის, შვილიშვილების, სამეგობროს წინაშე ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

ნათელი დაგადგეს, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და კოლეგავ!

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია,
მეგობრები და ახლობლები

---

შვილები ნინო, ზეინაბ, პეტრე ზამბახიძეები, შვილიშვილები დავით ელიოზიშვილი, შოთა, თამარ ზაქარიაძეები, სიძეები, მამიდები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ პეტრეს ძე ზამბახიძე

პანაშვიდი 1, 2 VIII, 17 სთ. დაკრძალვა 3 VIII, 14 სთ. ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. №124.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ რედაქციის თანამშრომელს, ცნობილ პოეტსა და ჟურნალისტს ქალბატონ ნანა ღვინეფაძეს უსაყვარლესი დის

დარეჯან ღვინეფაძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, ს.ს. „აკად. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოში ონკოგინეკოლოგიის ფუძემდებელი და მამამთავარი, მრავალი თაობის ონკოგინეკოლოგთა აღმზრდელი, მრავალი საერთაშორისო აკადემიებისა და ასოციაციების საპატიო წევრი, სწორუპოვარი კლინიცისტი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მედიცინის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი

ლევან ჩარკვიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და საქართველოს ონკოგინეკოლოგიური ცენტრის კოლექტივს.

---

მარინა, სოსო წულაძეები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბიძის

ლევან ჩარკვიანის

გარდაცვალებას.

---

მანანა, გია სიგუები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, ბიძის

ლევან ჩარკვიანის

გარდაცვალებას.

---

შვილები კონსტანტინე, ნინო, და დიანა, რძალი მედეა, შვილიშვილები დავითი, სოფიო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ევგენია (ჟენია) კონსტანტინეს ასული ნინიძე

პანაშვიდი 1 VIII, 17 სთ. დაკრძალვა 2 VIII, 14 სთ. მისამართი: დ. უზნაძის ქ. 4, XI სადარბაზო.

## ◉ დაზუსტება

*ამა წლის 30 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ძმები ცხოვრებაშვილების გახსენება, სადაც გაიპარა შეცდომა ნაცვლად თბილისში გაზრდილებისა უნდა იყოს ოგლოგაში გაზრდილები.*

---

მეუღლე მემნუნე უსტიაშვილი, შვილები ნინო, თენგიზ ჩარკვიანები, შვილიშვილები სალომე, ლევან ჩარკვიანები, ზაზა ციციშვილი, ძმისწულები რუსუდან, თეიმურაზ ჩარკვიანები, რძლები მერი ჯაფარიძე, მანანა როგაქიძე, ნინო ქორქაშვილი, ლანა მინდელი, მანანა მუსხელიშვილი, სიძეები რევაზ ციციშვილი, ზაზა გვერწითელი, მიშა ძაძამია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ჩარკვიანი

პანაშვიდი 1 VIII, 18 სთ. გამოსვენება 2 VIII, 15 სთ. ქ. თბილისი, ს. ჩიქოვანის (ხილიანისძ №20, IV სადარბაზო, ბინა 56.

---

რძლები მერი ჯაფარიძე, ნინო ქორქაშვილი, ძმისწულები რუსუდან, თემურ ჩარკვიანები, შვილიშვილები ნათია, რუსუდან ჩარკვიანები, მერი გვერწითელი, სიძეები ზაზა გვერწითელი, დათო ჭიჭინაძე, ზაქარია გიორგაძე, დავით იაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ჩარკვიანი

---

დიდ გულისტკივილს გამოვხატავ ცნობილი ქართველი მეცნიერის, გამოჩენილი ქართველი დასტაქრის, ონკოლოგთა კოჰორტის უკანასკნელი მოჰიკანის, აკადემიკოს

ლევან ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო და ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებ განსვენებულის ოჯახს.

ყოფილი ასპირანტი, ექიმი თეა ჩუბინიძე

---

თინათინ შენგელაია და ფრიდონ თოდუა მწუხარებას გამოთქვამენ ქართული ონკოგინეკოლოგიის ფუძემდებლის, პროფესორ

ლევან ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი მწუხარებას გამოთქვამს ქართული ონკოგინეკოლოგიის ფუძემდებლის, პროფესორ

ლევან ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო.

---

ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, კ. ვეფხვაძის სახელობის ონკოლოგთა საზოგადოება, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი მეცნიერის, სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ონკოგინეკოლოგიური მიმართულების ფუძემდებლის, მედიცინის დამსახურებული მოღვაწის, არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრის, კ. ვეფხვაძის სახელობის ონკოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის, უბადლო დასტაქრის პროფესორ

ლევან ჩარკვიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, მის მრავალრიცხოვან მოწაფეებსა და მეგობრებს.

---

რევაზ და რუსუდან გაგუები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ოჯახის უახლოესი მეგობრის, პროფესორ

ლევან ჩარკვიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, მის მრავალრიცხოვან მოწაფეებსა და მეგობრებს.

---

მამია თენიეშვილი და მინდია სალუქვაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის, უკეთილშობილესი პიროვნების და ჭეშმარიტი მამულიშვილის

ლევან ჩარკვიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს, სანათესაოსა და მთელ ქართველ საზოგადოებას.

---

ეთერ და დათო გაბუნიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მამიდაშვილის

ლევან ჩარკვიანის

გარდაცვალებას.

---

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ ღრმა მწუხარებით იუწყება ცნობილი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს

ლევან ჩარკვიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის გინეკოლოგიური კლინიკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საქართველოში ონკოგინეკოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, შესანიშნავი მეცნიერისა და პედაგოგის, უბადლო დასტაქრის, დიდი საზოგადო მოღვაწისა და ერისკაცის აკადემიკოს

ლევან იოსების ძე ჩარკვიანის

გარდაცვალებას.

---

ციცო, ნუნუ, ნატო ხარაიშვილები, ლელა მეტონიძე ოჯახებით იუწყებიან დიდი მასწავლებლის, ღვაწლმოსილი პიროვნების, გულთბილი ექიმის, ერთგული მეგობრისა და ოჯახის გულშემატკივარი ადამიანის

ლევან ჩარკვიანის

გარდაცვალებას.

---

ლევან და გია სურგულაძეები ოჯახებით იუწყებიან

ლევან ჩარკვიანის

გარდაცვალებას.

---

პროფ. ა. ღვამიჩავას სახ. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის სხივური გინეკოლოგიის თანამშრომლები იუწყებიან საყვარელი ადამიანის, დიდი ქირურგისა და პედაგოგის

ლევან ჩარკვიანის

გარდაცვალებას.

---

## სს „სამგორი-94“-ის აქციონერთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 22 აგვისტოს, დღის 3 საათზე საზოგადოების დირექტორის გადაწყვეტილებით, გაიმართება აქციონერთა საერთო კრება. საერთო კრება ჩატარდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რევაზ ლალიძის ქ. №8.

დღის წესრიგი:

1. კომპანიის კრიზისიდან გამოყვანის გზების დასახვა.

2. სხვადასხვა.

ვულოცავთ!

# ნინა წკრიალაშვილმა ოლიმპიური ვარსკვლავის რეკლამა პირველად „საქართველოს რესპუბლიკაში“ წაიკითხა და... პეკინის ოლიმპიადის საგზურითაც დაჯილდოვდა!



„ოლიმპიური ვარსკვლავის“ პიარმენეჯერი ლელა რაზიკაშვილი, გამარჯვებული ნინა წკრიალაშვილი და ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური.

**დეველოპერულმა კომპანიამ „ოლიმპიურმა ვარსკვლავმა“ 1-დან 30 ივლისის ჩათვლით გამართა წამახალისებელი აქცია, რომლის პირობების მიხედვით, პეკინის 2008 წლის ოლიმპიადის ორი საგზურით დასაჩუქრდებოდა ის მყიდველი, ვინც ამ პერიოდში კომპანიისგან ყველაზე დიდ ფართობს შეიძენდა. შედეგების შეჯამების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მომღერალმა ნინა წკრიალაშვილმა „ოლიმპიური ვარსკვლავისგან“ სოლიდური კომერციული და საცხოვრებელი ფართობი იყიდა, რის გამოც კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ზაზა რაზიკაშვილმა გუშინ ცნობილ მომღერალს საზეიმო ვითარებაში გადასცა პეკინის ოლიმპიადაზე გასამგზავრებელი და თამაშებზე დასასწრები ბილეთები.**

— ამ აქციის შესახებ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“ შევიტყვე, შემდეგ ტელევიზიითაც ვნახე, — გვითხრა ნინა წკრიალაშვილმა. — ბედნიერი ვარ, რომ სპორტის დიდ ფორუმში ქართველი სპორტსმენების გულშემატკივრობა მომიწევს. დავესწრები ყველა შეჯიბრებას, რომლებშიც ისინი მიიღებენ მონაწილეობას. სხვათა შორის, მომღერლები



**მაკა ზამბახიძე და რატი დურგლიშვილი მე გავაცილე იურმალის ფესტივალზე, სადაც მათ პირველი ადგილი დაიკავეს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სპორტსმენებიც გვასახელებენ...**

— ოლიმპიური თამაშებისა და ოლიმპიური ჩემპიონების მხარდაჭერა ჩვენთვის პრიორიტეტული მიმართულებაა, — გვითხრა ზაზა რაზიკაშვილმა, — საზოგადოებრივ არხთან ერთად პეკინის ოლიმპიური თამაშების ტრანსლაციის ოფიციალური პარტნიორები ვართ. გვინდოდა, რომ ოლიმპიურ თამაშებზე დასწრების საშუალება იმ ადამიანებისთვისაც მიგვეცა, რომლებიც ჩვენს კომპანიას ენდნენ და ინვესტიციები ჩადეს. ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა მომღერალი ნინა წკრიალაშვილი, რომელიც ოლიმპიადაზე ჩვენს სპორტსმენებს უქომაგებს. **დიდი მადლობა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, რომელმაც აქციის გამართვაში აქტიურად დაგვიჭირა მხარი...**

**გიორგი გაგუა**


## საქართველოს ლიცენზირებული კერძო ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი აცხადებს

I, II, III, IV კურსებზე მიღების შემდეგი სპეციალობით:

1. სამართალმცოდნეობა (იურისპრუდენცია),
2. საფინანსო-საბანკო და სადაზღვევო საქმე,
3. ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა,
4. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
5. ჟურნალისტიკა,
6. პოლიტიკური მეცნიერება (პოლიტოლოგია),
7. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა,
8. ანგლისტიკა.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ:

ა). განცხადება,
ბ). შევსებული საანკეტო ფორმა (შეგიძლიათ მოიძიოთ და შეავსოთ ჩვენთან),
გ). საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი,
დ). პირადობის მოწმობის ასლი,
ე) 4 ფოტოსურათი (3X4-ზე)

სტუდენტის ჩარიცხვა უნივერსიტეტში მოხდება გასაუბრების საფუძველზე.

სწავლება ფასიანია. სწავლის ღირებულება წელიწადში შეადგენს 1500 ლარს.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ:
თბილისი. ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, №45
ტელეფონი – 31. 18. 50; 31. 14. 75.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა:
25 აგვისტო, 2008 წელი.

რექტორატი


## ანეკდოტები

— მამი, რატომ არ შეიძლება, რომ ეს ფილმი ბავშვებმა ნახონ?

— წყნარად იჯექი! მალე თვითონ ნახავ.

* * *



ტიპს სიდედრი გარდაეცვალა. დაკრძალვისას ცოლი ეუბნება:

— ძვირფასო, შენ, როგორც ახლო ნათესავმა, კუბო უნდა წაიღო.

— რა თქმა უნდა, საყვარელო...

დაკრძალვის ცერემონიალი მთავრდება. ახლობლები ცხედარს ეთხოვებიან.

ცოლი ქმარს უჩურჩულებს:

— ძვირფასო, აკოცე დედას შუბლზე.

— ეჰ, როგორც ჩანს, ეს დაკრძალვა არ შემერგება, — ჩაილაპარაკა ქმარმა.

* * *

— თავი სწორედ დაიჭირეთ, რად გივარდებათ? — ეკითხება პარიკმახერი კლიენტს.

— მძიმე ფიქრებითაა სავსე...


უახლესი ტექნოლოგიები

ჰაილიში



ალტერნატივა ქართულ ბაზარზე

ლარის ტიპის საყინულე მაცივარი. გასაწევი შუშებით. 400-750 ლიტრი მოცულობის

ევრო სტანდარტი
სრული კომპლექტაცია

| მოდელი | ზომა | | | ელ. ენერგიის მოხმარება | კალათების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| | სიგრძე | სიგანე | სიმაღლე | | |
| შ -108 | 660 | 578 | 977 | 1.2კვ/24სთ-ში | 1 |
| შ -168 | 1020 | 585 | 930 | 1.3კვ/24სთ-ში | 2 |
| შ -218 | 1100 | 605 | 965 | 1.6კვ/24სთ-ში | 2 |
| შ -278 | 1250 | 960 | 950 | 2.0კვ/24სთ-ში | 3 |
| შ -528 | 1705 | 745 | 990 | 3.8კვ/24სთ-ში | 5 |
| შ -668 | 1980 | 830 | 1040 | 5.0კვ/24სთ-ში | 5 |

მისაღები ფასები. საგარანტიო მომსახურება

ჩვენი მისამართია: თბილისი, კედიას 15 (ყოფილი კახოვკა, დიდუბეში)
ტელ: 35-20-50. 35-60-78
ელ-ფოსტა: tsikara@mail.ru; tsikara@yahoo.com



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით ალმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
რუსლან რუსია
899 17-21-21

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434


რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.